# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 4 ივლისი, 2007 წელი.

№ 128 (5729)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




## „არის ასეთი პარტია!“

(ვლ. ლენინი)

3-4



## „ჯერ არ არის, მაგრამ მალე იქნება!“ (ირ. ოქრუაშვილი)

არც ხელოვნურად შექმნილი გმირებისა და არც „ცრუ წინასწარმეტყველთა“ ძებნის დრო აღარ არის!

## თუ რუსეთი შიდა ქართლში ომის განახლებას მოინდომებს, მათ ოხრად ექნებათ იარაღიც, არაყიცა და ფულიც - ჩვენი სისხლის საფასური

5

## თბილისი კვლავ ატერორებს ცხინვალს და ამერიკელთა მხარდამჭერის იმედი აქვს

6

## „თურქი მესხების“ პრობლემას მხოლოდ საქართველო ვერ გადაწყვეტს

4-5



## რეფორმებისა თუ კორუფციის მამა?

2

რატომ დაივიწყა ოპოზიციამ 129 მილიონი და 40 მილიონს „აწვება“?

## მზე - მტერიც, მოყვარეც

8



## ჩარხების ნაცვლად მღერის შპალერი...

7

# სახელმწიფო

● ოპოზიცია კი კვლავ ერთხმად გაიძახის, ლომაია რეფორმების მამა არ არის, კორუფციის მამააო



⊙ სიფრთხილეს თავი არ სტკივა

## რეფორმებისა თუ კორუფციის მამა?

ეროვნული გამოცდები ისე დაიწყო, ცოტა დარჩა, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა არ გამოცხადდა,მაგრამ ეს ცალკე თემაა. ახლა კი, კონტროლის პალატის დასკვნით, ამ გრანდიოზობის უმთავრესი შემოქმედის ბატონ კახა ლომაიას უწყებაში „აორთქლებული" 40 მილიონსა და მის „მიმყოლ" მოვლენებზე ვთქვათ.

პარლამენტში მინისტრები რომ თითქმის აღარ დადიან, ანუ არაფრად აგდებენ ამ საკანონმდებლო ორგანოს და სულაც აღარ ახსოვთ, რომ, ფორმალურად მაინც, თანამდებობებზე სწორედ მისი დამტკიცებულნი არიან, ამას უპირველესად, თავად ქალბატონი ნინო ბურჯანაძეც კარგა ხანია შეეგუა.

ასეთი აბუჩად აიგდები დამოკიდებულების ფონზე, ოპოზიციის მოთხოვნით ერთ-ერთი უძლიერესი, პრეზიდენტის მიერ წარმატებულ მინისტრად მრავალჯერ ბეჭედდასმული მინისტრის პარლამენტში „მორჩილად" მისვლა მოულოდნელიც კი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ბატონი კახა სათნო ღიმილით არწმუნებდა შემოჯარულ ჟურნალისტებს, მივალ და ყველა საკითხზე ამომწურავ პასუხს გავცემო. მისვლით კი მივიდა, მაგრამ კითხვებზე პასუხისა კი რა მოგახსენოთ. უკაცრავად ასეთი გამოთქმისათვის, მაგრამ სწორედ რომ „დაახურა" თავზე „ხინგზე" მისი გამოწვევის თავგადაკლულ მოსურნეებს. რამდენად მისაღები ანდა სამართლიანი იყო მისი გამოსვლის ტონალობა და ფორმა, ეს სხვაა, მაგრამ ფაქტია – ბატონ მინისტრს თავისი პოზიცია ერთი ციდადაც არ დაუთმია.

ორიდან ერთი – ან მართალია და კონტროლის პალატის საბუთები შეთითხნილია, ანდა ზურგსუკან ისეთი ძალა უდგას, ოპოზიციის „გაჯიქებას" ჩირადაც არ მიიჩნევს და მათ ჯიბრზე შეიძლება კიდევ 40 მილიონი „გაფლანგოს".

### რატომ დაივიწყა ოპოზიციამ 129 მილიონი და 40 მილიონს „აწვება"?



მეორე ვარიანტს, ირიბად, მაგრამ მაინც ადასტურებს ის, რომ გუშინდელ სხდომაზე (ლომაიასთან მისი გამოსვლისას წაკინკლავების მიუხედავად), როცა ოპოზიციამ კვლავ მოითხოვა საგამოძიებო კომისიის შექმნა, ხოლო ზურაბ ტყემალაძემ – სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ თუნდაც ერთხელ, შესაძლებლადაც კი არ მიიჩნია ამ კონტექსტში ბატონი ლომაიას დასახელება. პირიქით, გამოკვეთა, გადასამოწმებელია, რამდენად სწორია კონტროლის პალატის დასკვნაო და აღნიშნა, არა მგონია, ბატონ კახას ასეთი უყურადღებობა და უპასუხისმგებლობა დაეშვა თავის უწყებაშიო.

ახლა ასეა: ოპოზიცია კვლავ საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვს. ლომაიას „დაყრილ" 70 ტომს, საცა, მინისტრის მტკიცებით, ყველა ხარჯი ზედმიწევნითაა აღნუსხული, ამ კომისიის მეტი ვერავინ შეისწავლის და ბატონი მინისტრიც წყლიდან მშრალი გამოვაო. პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი „სამარქაფოს" იტოვებს – ჯერ კონტროლის პალატის ანგარიში მოვისმინოთო. ეგებ, ნანობს კიდეც, საჯაროდ უზრდელი რომ უწოდა ლომაიას... ოპოზიცია კი კვლავ ერთხმად გაიძახის, ლომაია რეფორმების მამა არ არის, კორუფციის მამააო.

ვნახოთ, ვისი გადასძალავს. ეგ კია, ლამის გადაგვაჩვიეს სიმართლის გამარჯვებას.

დაბოლოს, ერთი, იქნებ, ამ აჟიოტაჟთან დაკავშირებული, ძალზე საეჭვოდ მივიწყებული ამბის შესახებ: თუ გახსოვთ, სულ რაღაც ერთი თვის წინათ ოპოზიციამ, სახელდობრ კი, კონსერვატორებმა, ცა და დედამიწა შეაჯერეს, ბიუჯეტიდან ქალაქის მერიისთვის გამოყოფილი 229 მილიონი ლარიდან 140 მილიონი რაში დაიხარჯაო. ზვიად ძიძიგური და ბეჟან გუნავა მერიის რევიზიის ოქმის გასაცნობად კონტროლის პალატას „შინაც მიუხტნენ". მანამდე სასამართლო პროცესიც მოიგეს. და უცებ ყველაფერი ჩაწყნარდა. თითქმის თვეა, ამაზე კრინტი აღარავის დაუძრავს ბატონ ლომაიას კი, თუმცა, ვგონებ, უშედეგოდ, მაგრამ მაინც ჯიქურ აწვებიან.

რატომ?

**კონსტანტინე გურგენიძე**

⊙ პრესკონფერენცია

## იქმნება ერთიანი სამთავრობო ქსელი

სამთავრობო კომისიამ, რომლის თავმჯდომარეა რეფორმების კოორდინაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე, ორეტაპიანი შერჩევა ჩაატარა იმ კომპანიის გამოსავლენად, რომელიც საქართველოს მთავრობას მიაწოდებდა შესაბამის მომსახურებას ერთიანი სამთავრობო ქსელის შესაქმნელად. შერჩევით კომპანია „მაგთიკომი" გამოვლინდა.




უახლოეს ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ერთიანი სამთავრობო ქსელი ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე ერთიანი და დაცული კომპიუტერული – VPN ტიპის ქსელის შექმნას, რომელიც on line რეჟიმში დააკავშირებს ერთმანეთთან სამთავრობო სტრუქტურებს, შესაძლებელს გახდის ყველა ტიპის ციფრული, მათ შორის, აუდიო და ვიდეო მონაცემების გადაცემა-მიმოცვლას ცენტრალურ და რეგიონალურ უწყებებს შორის, მნიშვნელოვნად შეამცირებს სახელმწიფო უწყებების ხარჯებს – მისცემს მათ იაფი და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტითა და ინტრანეტით სარგებლობის საშუალებას.

პროექტის პირველ ეტაპზე, მთელი საქართველოს მასშტაბით შეიქმნება ინფორმაციის გაცვლის 500-მდე წერტილი. პარალელურად, „მაგთიკომი" დამკვეთს ყველა სახის ინტერნეტ-სერვისებს შესთავაზებს.

ერთიანი სამთავრობო ქსელი ქმნის საქართველოში ელექტრონული მმართველობის დანერგვის შესაძლებლობას.

საინვესტიციო სააგენტოს საკონფერენციო დარბაზში გამართულ პრესკონფერენციაზე სამთავრობო კომისიის თავმჯდომარემ კახა ბენდუქიძემ და „მაგთიკომის" გენერალურმა დირექტორმა დევიდ ლიმ, აგრეთვე, სამთავრობო კომისიის წევრებმა, საქართველოსთვის ერთიანი სამთავრობო ქსელის შექმნის მნიშვნელობაზე ილაპარაკეს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

⊙ ინფორმაცია

## გამოცდების შედეგები აგვისტოში გამოქვეყნდება

ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნება დაახლოებით 10 აგვისტოდან დაიწყება – ამის შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა განაცხადა.

– აბიტურიენტების ნამუშევრების ასლების გამოქვეყნება ეტაპობრივად მოხდება და ეს პროცესი დაახლოებით 10 აგვისტოდან დაიწყება. აბიტურიენტებს შესაძლებლობა ექნებათ საკუთარ ნამუშევრებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის ვებგვერდზე გაეცნონ, – განაცხადა მაია მიმინოშვილმა.

**ХО-ЭОВ-ЭБО**

⊙ ინფრასტრუქტურა

## ორიენტირია გადამხდელი

წლის დამლევამდე საქართველოში თანამედროვე საბაჟო-საგადასახადო ინფრასტრუქტურის მშენებლობის კალენდრის ოფიციალურ წარდგენაზე, რომელიც 3 ივლისს სასტუმრო „თბილისი მარიოტში" გაიმართა, ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა განაცხადა, რომ ქვეყანაში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მომსახურების 12 დარბაზი და საბაჟო პუნქტი ამუშავდება.

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საბაჟო ინფრასტრუქტურის მოდერნიზების პროცესი უკვე დაიწყო, – თქვა მინისტრმა. – ჩვენ დავასრულეთ მუშაობა პროექტირებასა და იმ მოდელების შექმნაზე, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყანაში საბაჟო-გამტარი პუნქტებისა და საგადასახადოების მომსახურების ოფისები.



საგულისხმოა, რომ აღნიშნული კონცეფცია ფინანსთა სამინისტროს სტრატეგიული მიმართულების ნაწილია, რომელიც ქვეყანაში გადამხდელებზეა ორიენტირებული. იგი, პირველ ყოვლისა, მომსახურების თანამედროვე სისტემის დანერგვასა და საზოგადოებრივი სერვისის გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

სექტემბრისთვის ვარაუდობენ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის, ოზურგეთისა და ხაშურის მომსახურების დარბაზების, ასევე საბაჟო-გამტარი პუნქტის „სადახლოს" მშენებლობა-მოწყობის დასრულებას, ხოლო ოქტომბერში ამოქმედდება თბილისისა და ახალქალაქის მომსახურების დარბაზები.

გეგმის მიხედვით, ნოემბერ-დეკემბერში სამუშაოები დასრულდება, შესაბამისად, საგარეჯოს, წნორისა და მცხეთის საგადასახადო დარბაზებში, აგრეთვე მოეწყობა დარბაზები ქურთასა და ზესტაფონში.

მინისტრმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ მომსახურების დარბაზებისა და საბაჟო-გამტარი პუნქტების მშენებლობისა და მოწყობის ღირებულება 7 მილიონი ლარია, საიდანაც 4 მილიონი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დახმარებაა.

**ოთარ ტურაბელიძე**

⊙ პოზიცია

## ლეიბორისტული პარტიის მოთხოვნა

საქართველოს ლეიბორისტული პარტია საქართველოს სასაზღვრო ტერიტორიაზე არსებული მიწების საპატრიარქოსთვის უსასყიდლოდ გადაცემას ითხოვს.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, ლეიბორისტების პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ განაცხადა, რომ ის და მისი თანამოაზრეები იმ კანონპროექტს აპროტესტებენ, რომელიც პარლამენტმა უნდა განიხილოს.



გუგავას განცხადებით, ქვეყნის საზღვართან მდებარე მიწების გასხვისება-პრივატიზაცია დაუშვებელია.

– პარლამენტმა კანონპროექტი უნდა განიხილოს, რომლის მიხედვით შესაძლებელი გახდება საზღვრებთან მდებარე მიწების პრივატიზაცია, რომლის შეძენა უცხოელებს, მათ შორის თურქებს და ჩინელებსაც შეეძლებათ, რითაც ჩვენი ხელისუფლება კიდევ ერთ უბედურებას დამართებს ქვეყანას,–განაცხადა ლეიბორისტების პოლიტიკურმა მდივანმა.

მისივე ინფორმაციით, საქართველოს ლეიბორისტული პარტია ინიციატივით გამოდის, რომ საქართველოს საპატრიარქოს აღნიშნული მიწები უსასყიდლოდ და უვადოდ გადაეცეს.

**ინტერპრესნიუსი**

№ 128. ოთხშაბათი, 4 ივლისი, 2007 წელი.

# ქვეყანა

● ჯერ არშექმნილი ორგანიზაციის თაობაზე პრესაში უკვე ატყდა დიდი „კილდიმი" და, თქვენ წარმოიდგინეთ, რა მოხდება მაშინ, როდესაც ოქრუაშვილი ჩვეულ სტილში მოკლე და მკვეთრ განცხადებებს გააკეთებს, ამას ზედ დაურთეთ გუნცაძის ემოციური და გააზრებული გამოსვლები და ცაგარეიშვილის „ვაშლები". საჭიროების შემთხვევაში, ქარელიც იტყვის ერთი-ორ სიტყვას (ხანდახან ხალხის გახალისებაც საჭიროა).



◎ განსჯა

# „არის ასეთი პარტია!"

(ვლ. ლენინი)

# „ჯერ არ არის, მაგრამ მალე იქნება!"

(ირ. ოქრუაშვილი)

## არც ხელოვნურად შექმნილი გმირებისა და არც „ცრუ წინასწარმეტყველთა" ძებნის დრო აღარ არის!

ალბათ, მკითხველთა უმრავლესობას ახსოვს კაკი წერეთლისა და ლენინის ცნობილი გაპაექრება ერთ-ერთ თავყრილობაზე. კაკი წერეთელმა თქვა, რომ „დღეს რუსეთში არ არის პარტია, ვინც შეძლებს ხელში ძალაუფლების აღებას". დარბაზში მჯდომი ლენინი წამოხტა და ნამდვილად ისტორიული ფრაზა წარმოსთქვა: „არის ასეთი პარტია!" (ამ დიალოგს გაგრძელებაც ჰქონდა და წერეთელმა „ბანდიტთა ბრბოც" ახსენა, მაგრამ ეს არ გვაინტერესებს).

თემურ წიკლაურის თბილისობისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი სიმღერა ასე იწყებოდა: თბილისობაა, თბილისობაა, მეხივით გასკდა მოწმენდილ ცაზეო. დაახლოებით ასე მოხდა ქართული პოლიტიკის მოწმენდილ ცაზეც, მეხივით გასკდა ყოფილი თავდაცვის მინისტრის წრიდან გასული ინფორმაცია, ირაკლი ოქრუაშვილი ოპოზიციურ პარტიას აყალიბებსო. ამ ინფორმაციის პარალელურად ვრცელდებოდა ჭორი, პრეზიდენტმა ოქრუაშვილს პრემიერ-მინისტრობა შესთავაზაო, მან კი უარი უთხრაო...

მაინც რა მოხდა, და, საერთოდ, რა ხდება ამ ქვეყანაში (მაპატიებს მკითხველი, რომ არა ვთქვი „ამ ქვეყანაზე"-მეთქი).

არაფერი ისეთი.

ყოფილმა ჩინოვნიკმა ირაკლი ოქრუაშვილმა (ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ) პარტიის ჩამოყალიბება გადაწყვიტა.

გადავხედოთ შორეულ ისტორიას (არა, არც ლიპარიტ ბაღუაშისა და არც ზურაბ არაგვის ერისთავის გახსენებას არ ვაპირებ), გადავხედოთ უახლოეს ისტორიას და შევაფასოთ ამ აჟიოტაჟატეხილი პარტიის (და იქნება კი?) ყველა პლუსი და მინუსი.

დადებითიდან დავიწყოთ.

რა არის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკური ორგანიზაციის წარმატების საწინდარი?

*1. ამომრჩევლის განწყობა* (ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი ძალიან ბევრ კერძო შემთხვევას შეიცავს, რაც თავის მხრივ, განსაზღვრავს მომავალი პოლიტიკოსის წარმატებას). აქ უმთავრესი შედარებაა – ქართული ელექტორატი ირაკლი ოქრუაშვილს უმრავლესობის სხვადასხვა წევრს ადარებს. მაგალითად, გიგა ბოკერიას, გივი თარგამაძეს, მაია ნადირაძეს, ნინო კალანდაძეს, რატი სამყურაშვილს, მამა-შვილ გაბაშვილებს და უმრავლესობის იმ უამრავ უსახურ წევრს, რომლებიც დღეს საქართველოს ბედის გადამწყვეტებად გვევლინებიან (აქ ოქრუაშვილს უდავოდ დიდი პლუსი აქვს).

*ა) ასევე ადარებს ოპოზიციას.* მაგალითად, უხერხემლო გამყრელიძეს, უეროვნებო რესპუბლიკელებს, გაურკვეველ კონსერვატორებს, მრავალგზის „დაჩაგრულ" ლეიბორისტებს, და „სტავკას" ისევ მკვეთრ გამოთქმებზე აკეთებს.

*ბ) ფინანსები.* ყველამ იცის და ამბობს, რომ ოქრუაშვილს ფინანსები აქვს (მორჩა! ამის შემდეგ არანაირი დაკონკრეტება საჭირო აღარ არის).

უარყოფითი მხარე:

*2. ოქრუაშვილი პოლიტიკოსი არ არის.* პოლიტიკოსად ის პირველად მაშინ გამოჩნდა, როდესაც პრეზიდენტის საქართველოში არყოფნისას ზურაბ ჟვანიას გუნდს დაუპირისპირდა. სამწუხაროდ, არავინ მიაქცია ყურადღება (დავით ბერძენიშვილის გარდა) ჟვანიას ფრაზას პრივატიზების ახალ ტალღაზე, როდესაც მან გაიხსენა ის შეცდომები, რაც თელასის ამერიკელებისთვის მიყიდვისას დაუშვეს (ამ საფინანსო გარიგების ერთ-ერთი ადვოკატი ირაკლი ოქრუაშვილი იყო).

*3. ოქრუაშვილის საპარლამენტო გუნდი,* ანუ ვის მხრებზე იქნება ახალი პარტია. ესენი არიან: ქეთევან მახარაშვილი, თეო ტლაშაძე, გურამ ვახტანგაშვილი, ვლადიმერ გეგელაშვილი, კოკა გუნცაძე და გია ცაგარეიშვილი (ძალიან უნდა კუკავას, მაგრამ მისი ბედი ჯერ „ჰაერში ჰკიდია"). აუცილებლად იქნებიან სხვებიც, მაგრამ ისინი დაელოდებიან იმ დროს, როდესაც ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანს (კირკიტაძეს) სასწავლებლად გაუშვებენ და ბოკერია გადაწყვეტს ახალი საპარლამენტო სიის ბედს (კირკიტაძის განათლების საკითხი უკვე გადაწყვეტილია. იგი ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტის მიწვევით განაგრძობს სწავლას)).

*4. არასაპარლამენტო გუნდი.* ამ გუნდის ძირითადი ბირთვი შიდა ქართლის „გუბერნატორი" მიხეილ ქარელი (თავის „ბრიგადასთან" ერთად) და თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ალეკო სუხიტაშვილი არიან.

*5. ირაკლი ოქრუაშვილისადმი ამერიკელებისა და რუსების დამოკიდებულება.* ნებისმიერი გადმოსახედიდან ჩანს, რომ ეს ურთიერთობები ძალიან ცუდია (რბილად რომ ვთქვა).

რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ახალი პარტიის სახელი ჯერ კიდევ უცნობია. მაგრამ სხვადასხვა წყაროდან ცნობილი ხდება, რომ მისი პოლიტიკური კურსი ეროვნულ და სოციალურ საკითხებს მოიცავს.

ახლა მოვრჩეთ ე.წ. რიტორიკას და პრაქტიკულ საკითხებზე გადავიდეთ.

ნებისმიერი ნოვაციის გაჩენის დროს, ბუნებრივია ისმის კითხვა: რა საჭიროა, რა სარგებლობას მოიტანს, აქვს თუ არა აზრი მის არსებობას?

ვნახოთ, რისი გაკეთება შეუძლია ოქრუაშვილის პარტიას და რა ნიშის დაკავებას შეეცდება იგი დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში.

ერთი შეხედვით ამ პარტიას დიდი პერსპექტივები უნდა ჰქონდეს, მაგრამ – ეს ერთი შეხედვით. მოდით, ვნახოთ, თუ რატომ.

პოლიტიკურმა ორგანიზაციამ რაიმე წარმატებას რომ მიაღწიოს, აუცილებელია, მკვეთრად ჩამოყალიბებული იდეოლოგია ჰქონდეს, სწორედ ამ იდეოლოგიით უნდა შეკრას თავისი მხარდამჭერები ერთ გუნდად და იმ გზაზე წაიყვანოს, რომელის „ბოლო გაჩერებაც" ხელისუფლების სათავეში მოსვლაა.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ის გუნდი, რომელმაც უნდა დაარწმუნოს ხალხი თავის უპირატესობაში სხვა პოლიტიკურ ძალებთან შედარებით.

დავიწყოთ იდეოლოგიით. პირდაპირ ვიტყვი, რომ ამ პოლიტიკურ გაერთიანებას არანაირი იდეოლოგია არა აქვს, ხოლო ირაკლი ოქრუაშვილის ის მკვეთრი გამოთქმები, რამაც მას პოპულარობა მოუტანა, არანაირი იდეოლოგია არ არის.

გუნდი, ერთის შეხედვით, შთამბეჭდავია: რამდენიმე დეპუტატი, ჯერჯერობით მოქმედი გუბერნატორი (თავისი „ბრიგადით") და ა.შ. მაგრამ ეს გუნდი ძალიან ჰგავს ჩვენი ხელისუფლების მიერ შეღებილ ფასადებს და ნაჩქარევად დაგებულ გზებს.

მხოლოდ ბატონ გურამ ვახტანგაშვილს აქვს პარლამენტში მუშაობის რაღაც გამოცდილება. მუშაობა სხვაა და პარლამენტში სიარული – სხვა. სწორედ ამის ბრალია ის, რომ საქართველოს მოსახლეობამ დეპუტატ თეო ტლაშაძის სახელი რევოლუციური პარლამენტის არსებობის მესამე წლისთავზე, უფრო ზუსტად 2007 წლის 27 თებერვალს იმით გაიგო, რომ, თურმე, თბილისის მერი გიგი უგულავა მის სატელეფონო ზარებს არ უპასუხებდა, ხოლო ქალბატონ ქეთევან მახარაშვილის სახელი იმით, რომ მან 2007 წლის 26 იანვარს სასტუმრო „ამბასადორში" ოჯახური ძალადობის პრობლემაზე ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ („ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივა") გამართულ „მრგვალ მაგიდაში" მიიღო მონაწილეობა. ბატონ ვალერი გეგელაშვილის სახელიც გარკვეული წრის გარდა ყველასთვის უცნობია (მე იმ გარკვეულ წრეში ნათესავებს, მეზობლებს და თანამშრომლებს ვგულისხმობ).

მათგან განსხვავებით, ცნობილია შიდა ქართლის გუბერნატორის ბატონ მიხეილ ქარელის სახელი, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ რუსული ენის „უზადოდ" ფლობის გამო (ეს რა უბედურება გვჭირს: განათლების მინისტრმა ბავშვის სწორად დაწერა არ იცის, პრეზიდენტის რწმუნებულმა, რომელსაც უშუალო ურთიერთობა აქვს კონფლიქტის ზონაში განთავსებულ ე.წ. რუსულ სამშვიდობო ძალებთან – რუსული. კიდევ რამდენი ისეთი ჩინოვნიკია, რომელმაც არაფერი არ იცის, მაგრამ რას იზამ).

ბატონი კოკა გუნცაძე და გია ცაგარეიშვილი ნამდვილად გამოირჩევიან ამ ახალი პარტიის ე.წ. დამფუძნებელთა ფონზე. ისინი განათლებული და წესიერი ხალხი არიან, მაგრამ საერთო ოპოზიციურ ფონზე მაინცდამაინც ვერ ბრწყინავენ.

შესაძლებელია, ბატონ ირაკლის გიორგი სააკაძესავით სადმე „ვინროებში" გადამალული რომელიმე ღირსეული პიროვნება ჰყავდეს და მოულოდნელად გამოაჩინოს (მაინც ყოფილი თავდაცვის მინისტრია და რაღაც სტრატეგიები და ტაქტიკები ეცოდინება). ისე, „გადამალული" პიროვნებებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გადამალული „დიდი ფულის" ამბავი ყველასთვის ცნობილია და სწორედ ეს ფაქტორი ითამაშებს დიდ როლს „მასების" და სხვადასხვა ცნობილი ადამიანის მოზიდვაში (რას იზამ, ყველას ჰყავს ოჯახი. თან, ყველაფერი გაძვირდა).

ისმის კითხვა, თუ რა გავლენას მოახდენს ამ ახალი პარტიის გამოჩენა ქართულ პოლიტიკურ სპექტრზე.

საქმეში ჩახედული ხალხის აზრით – კარგა დიდს. არა, არ იფიქროთ, რომ ეს პარტია ქართული პოლიტიკური კულტურისთვის აღმოჩენა იქნება. იგი, მარტივად რომ ვთქვა, ოპოზიციას შეაზანზარებს, ძლიერ დარტყმას მიაყენებს მას. ეს დარტყმა დღეს არსებული ოპოზიციური პარტიებისთვის ელექტორატისა და საეთერო სივრცის წართმევა იქნება.

ჯერ არშექმნილი ორგანიზაციის თაობაზე პრესაში უკვე ატყდა დიდი „კილდიმი" და, თქვენ წარმოიდგინეთ, რა მოხდება მაშინ, როდესაც ოქრუაშვილი ჩვეულ სტილში მოკლე და მკვეთრ განცხადებებს გააკეთებს, ამას ზედ დაურთეთ გუნცაძის ემოციური და გააზრებული გამოსვლები და ცაგარეიშვილის „ვაშლები". საჭიროების შემთხვევაში, ქარელიც იტყვის ერთი-ორ სიტყვას (ხანდახან ხალხის გახალისებაც საჭიროა).

ოპოზიციური ძალების დიდი ნაწილი მართლაც შეფუცხუნდება, რადგანაც კარგად ხვდება ამ ახალი ძალის მნიშვნელობას. ხმამაღლა დაიწყებენ ოქრუაშვილზე არსებული ჭორ-მართალის ღეჭვას, ხოლო ჩუმ-ჩუმად კი – მასთან „სავალი გზების" ძიებას. ამ გზების ძიება სხვადასხვა ფორმით იქნება განხორციელებული. ზოგიერთნი პირადი კავშირების ძებნას დაიწყებენ, ზოგიერთნი გამოთქვამენ მზადყოფნას შეუერთდნენ ნებისმიერ ძალას, ოღონდ არსებული რეჟიმი შეიცვალოს (სხვათა შორის, მსგავსი გამონათქვამი ბოლშევიკებში იყო გავრცელებული. ისინი ამბობდნენ, რომ, თუ დაგვჭირდა, თვით ეშმაკთანაც შევკრავთ კავშირსო. არადა, ეშმაკთან კავშირით ვერც დოქტორმა ფაუსტმა ვერ მოიგო და ვერც ბოლშევიკებმა, რადგანაც ეშმაკი ძალიან ძვირს ითხოვს. ძალიან ძვირს). ზოგნი კი, ქალბატონი ანი დოლიძის მსგავსად, ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაუსვამენ ბატონ ირაკლის რამდენიმე იოლად პასუხგასაცემ კითხვას და მათზე პასუხის მიღების შემთხვევაში მის გვერდით დადგებიან (პირველი ივნისის გადაცემა „დროებაში" ქალბატონმა ანიმ ისეთი კითხვები დაუსვა ბატონ ირაკლის, რომ მათზე პასუხის გაცემა, არამც თუ ისეთ ძლიერ იურისტს, როგორიც ბატონი ოქრუაშვილია, პოლიტიკაში ჩახედულ და პოლიტიკოსობაზე პრეტენზიის მქონე ნებისმიერ ადამიანს შეუძლია).

იხ. 4 გვ.

№ 128. ოთხშაბათი. 4 ივლისი. 2007 წელი.

◎ ინფორმაცია

## ოსური მხარის მონაჩმახი

ე. წ. სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებში საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების დანაყოფები არიან შეყვანილები. ამის შესახებ ცხინვალის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტი სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით იუწყება.

არალიარებული შინაგან საქმეთა სამინისტრო ამტკიცებს, რომ კეხვი-თამარაშენის ტრანსმაგისტრალურ გზაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები შევიდნენ.

ცხინვალის ბეჭდვის და ინფორმაციის კომიტეტი ამტკიცებს, რომ ამ ინფორმაციას თამარაშენის და კეხვის მოსახლეობაც ადასტურებს.

## გოლოგოლო, წყალი მიეწოდება?!

ცხინვალიდან წყალი ყველა ქართულ სოფელს, ნიქოზისა და ფხვენისის გარდა, მიეწოდება. ამის შესახებ სააგენტო „რესი" იუწყება.

სააგენტოს მტკიცებით, ეუთოს და შერეული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა ცხინვალში მონიტორინგი ჩაატარეს, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ ნიქოზსა და ფხვენისს წყალი ქართული მხარის გამო არ მიეწოდება, რადგან



ქართულ მხარეს წყალსადენის ტექნიკური პრობლემები ჯერაც არ მოუგვარებია.

უკვე მეორე დღეა, ცხინვალის მიმართულებით მოძრაობა პარალიზებულია.

ინტერპრესნიუსი

# ჩვენ

ამჟამად „თურქ-მესხებად“ წოდებული მაჰმადიანი მესხების აბსოლუტური უმრავლესობა (95%) ფიქრობს, რომ ისინი წარმომავლობით თურქები არიან, აქვს ანტიქართული მენტალიტეტი, მოითხოვს ორმაგ ქართულ-თურქულ მოქალაქეობას, დამოუკიდებელ ავტონომიას, ყოფილი ახალციხის საფაშოს აღდგენას და თურქული კონსტიტუციის ქვეშ ცხოვრებას

◎ ინფორმაცია

## ისტორიული ძეგლების რესტავრაცია გრძელდება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის რესტავრაციის ლაბორატორიაში XIII საუკუნის წერილობითი დოკუმენტის რესტავრაცია დასრულდა და XVIII საუკუნის გულანზე (ლოცვების წიგნი) დაიწყო მუშაობა.

როგორც იუსტიციის სამინისტრო იუწყება, რესტავრირებული დოკუმენტი 1263 წელსაა შესრულებული. ეს არის თბილისში შემდგარი საეკლესიო კრების დადგენილება, რომელიც მეფე დავით ულუსადმი იყო მიმართული. კრების წევრები მეფის მიერ დიდებულებისათვის საჩუქრად დარიგებული საეკლესიო მამულების დაბრუნებას ითხოვდნენ: „გევედრებით და ვრეკთ კარსა მოწყალებისა თქუენისასა... უსაჯეთ სამართალი მართალი...“, — აღნიშნავდნენ გლეხები.

კრებამ დადგენილება გამოიტანა — ვიდრე არ დაკმაყოფილდებოდა ეკლესიის მოთხოვნა, კრება არ დაიშლებოდა, ეკლესიები დაიკეტებოდა, მირონი არ გაიცემოდა და საეკლესიო რიტუალები არ ჩატარდებოდა.

ამჟამად რესტავრაციის ლაბორატორიაში 1714 წელს გადაწერილ გულანზე მუშაობენ. ხელნაწერი შესრულებულია სიონის ეკლესიის დეკანოზების: ზაქარიასა და გაბრიელის მიერ, ქართლის გამგებელ სვიმონ ბატონიშვილის ბრძანებით.

## დევნილების მორიგი აქცია ქუთაისში

სასტუმრო “ქუთაისის” წინ აფხაზეთიდან დევნილები მორიგ აქციას მართავენ.

მათი მოთხოვნები კვლავ უცვლელია, ისინი საკომპენსაციო თანხის 4 500 აშშ დოლარის 10 000 აშშ დოლარამდე გაზრდას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში შენობას არ დატოვებენ.

**ინტერპრესნიუსი**

◎ სიტუაცია



# „თურქი მესხების“ საქართველო

„საქართველოს რესპუბლიკის“ ა.წ. 13-16 თებერვლის №№-ში 27-30 გამოქვეყნდა ჩემი სტატია „თურქი მესხების პრობლემა მცდარ მცნებებსა და იდეებზეა დაფუძნებული“, რომელშიც ვამბობდი, რომ ეს პრობლემა და მასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი ყოფილ საბჭოთა კავშირის და რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურების ძალისხმევით, შემდეგ კი საბჭოთა მასმედიის, ექსპერტების და რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით საგრძნობლად გაყალბებულია და მოითხოვს სოლიდურ კორექტივებს. მრავალრიცხოვანი სტატისტიკური და ისტორიული მასალის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ:

1. 1944 წლის დამლევს მუსულმანი მოსახლეობის დეპორტაცია მოხდა არამარტო საქართველოდან, მისი ძირძველი მხარედან — სამცხე-ჯავახეთიდან, როგორც ამას ამტკიცებენ ოფიციალურად, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთ ყოფილ საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ არსებული რეგიონებიდანაც.

2. საქართველოდან გასახლებული მუსულმანების რიცხოვნობა მასმედიაში გამოქვეყნებული მასალების, აგრეთვე ოფიციალური და არაოფიციალური წყაროების მიხედვით **მერყეობს 70 ათასიდან 265 ათასამდე**. ასევე აღიარებულია, რომ გასახლებას დაექვემდებარა სპეცსამსახურების მიერ შეთხზული და არარსებული ეთნოსი — „თურქი მესხები“, როგორც ამ ბოლო წლებში უწოდებენ უბრალოდ „მესხები“. სარწმუნოდ მიგვაჩნია ისტორიის მეცნიერების კანდიდატის, დოცენტ შოთა ნოზაძის ძალისხმევით ქ. პოდოლსკში საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივში მიკვლეული მასალა, საიდანაც ჩანს, რომ **1944 წელს საქართველოდან დეპორტირებული ყოფილა 15 568 ოჯახი 69 869 სულით, მათ შორის: თურქი — 59 780 (85,5%), ქურთი — 8667 (12,4%), თარაქამა და ხემშილი — 1462 (2,1%).** (იხ. გაზ. „კომუნისტი“ 9.06.90 და გაზ. „თბილისი“ 06.06.92). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მონაცემებში თურქებად მოიხსენიებოდნენ მუსულმანი მესხები და თურქული ტომების სხვა წარმომადგენლებიც;

3. ისტორიულად არარსებული და შეთხზული ეთნოსის აღმნიშვნელი ტერმინის „თურქი მესხების“ შემოქმედთ მიაჩნიათ, რომ მათი შორეული წინაპრები, თურქული ტომების წარმომადგენლები ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეში (ზოგიერთი წყაროს მიხედვით ძვ.წ. II ს - ში) დასახლებულან საქართველოს ძირძველ მხარეში სამცხე-ჯავახეთში და შემდეგ საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთში და ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაცია-ინტეგრაციის შედეგად ჩამოყალიბებულან ახალი თვითმყოფადი კულტურის მუსულმანურ-სუნიტური რწმენის და თურქული ენის მატარებელ სრულიად ახალ ეთნოსად, რომელთა იძულებითი გასახლება განხორციელდა მათი ისტორიული რეგიონიდან ე.წ. „სტალინური რეჟიმის“ მიერ (იხ. А. Юносов, Месхетинские Турки — Дважды Депортированный Народ. Баку, 2000).

4. მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაციამდე საბჭოთა კავშირის მოსახლეობის აღწერების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში — საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, — სავარაუდოდ ყოფილ საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ ზონებში, ცხოვრობდნენ თურქული და ირანული ტომების წარმომადგენლები: ანატოლიელი თურქები, სპარსელები, თალიშები, თათები, წახურები, ხემშილები (მუსულმანი სომხები), თარაქამები (აზერბაიჯანელი თურქმენები) და სხვანი (იხ. „Распределение Народов СССР по Районам на основе этнографичесой Карты СССР — по данным переписи 1926г“. Государственное экономическое Издательство. М. — Л. 1932., აგრეთვე „Всесоюзный перепись населения 1937г. Институт Историй СССР АН СССР. Краткий отчет. М., 1991).

5. გამონაკლისს წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, სადაც ზემოხსენებული ერების და ეთნოსების გარდა ცხოვრობდნენ **მაჰმადიანი მესხები, რომლებიც ეწერებოდნენ ხან თურქებად და ხან აზერბაიჯანელებად. აღსანიშნავია, რომ მაჰმადიანი მესხების სოლიდური ნაწილი ჯერ კიდევ 1916 წლის ოფიციალური მონაცემებით საუბრობდა თურქულ ენაზე და თურქებად მიაჩნდა თავი** (იხ. პ.ინგოროყვა „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“. კონსტანტინოპოლი, 1918.). **ამჟამად „თურქ-მესხებად“ წოდებული მაჰმადიანი მესხების აბსოლუტური უმრავლესობა (95%) ფიქრობს, რომ ისინი წარმომავლობით თურქები არიან, აქვს ანტიქართული მენტალიტეტი, მოითხოვს ორმაგ ქართულ-თურქულ მოქალაქეობას, დამოუკიდებელ ავტონომიას, ყოფილი ახალციხის საფაშოს აღდგენას და თურქული კონსტიტუციის ქვეშ ცხოვრებას** (იხ. ა. მიქელაძე, „დეპორტირებული მაჰმადიანები და საქართველო“ — II გამოცემა. თბ., 2006.).

6. გამონაკლისია სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მუსლიმანი მესხების და მათი შთამომავლობის საზოგადოება „ხსნა“, რომლის ბაზაზე დაფუძნებულია: „ხალილ გოზალიშვილის სახელობის მუსულმანების საერთაშორისო ორგანიზაცია“, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ქართული წარმომავლობის მუსულმანი მესხები და მზად არიან მიიღონ ქართული გვარ-სახელები, შეისწავლონ ქართული ენა, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია და გახდნენ საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები (იხ. ს. ხოზრევანიძის სტატია: „უცხო ნურვის ვეგონებით, ქართველები ვართ, ბედუკულმართობით რჯულდაკარგულნი“ (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2005 წ., 17 აპრილი). საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს ხალხი ბ-ნი ს. ხოზრევანიძის მოხდენილი გამონათქვამით „რჯულდაკარგული და ენადაკარგული მესხები“ ყოველთვის იყვნენ და ახლაც არიან ქართული საზოგადოების ეროვნული სატკივარი და, მათ მიმართ გამოთქმული სამართლიანი პრეტენზიების მიუხედავად, მზად არის აღმოუჩინოს მათ თანადგომა და დახმარება სამშობლოში ჩასახლების მიზნით.

7. 2005 წლის 5 ივნისს თბილისში საქართველოს ხელისუფლების ინიციატივით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ე.წ. „თურქი-მესხების“ პრობლემებზე, რომელშიც ეს ეთნოსი მოიხსენიება, არც მეტი და არც ნაკლები, „მესხებად“, ანუ ქართველებად. კონფერენციას ეწოდა „მესხთა პრობლემების მდგრადი გადაწყვეტის ძიება“, სადაც მოისმინე პოსტსაბჭოთა სივრცის და საზღვარგარეთის 10-მდე ქვეყნის წარმომადგენლის მოხსენება თემაზე: „მესხთა მდგომარეობა აზერბაიჯანში, ყაზახეთში, უზბეკეთში, რუსეთში, ყირგიზეთში, უკრაინაში, თურქეთში, საქართველოსა და აშშ-ში“.

**კონფერენციაზე დადასტურდა, რომ იმ დროისათვის პოსტსაბჭოთა სივრცის და საზღვარგარეთის ქვეყნებში ცხოვრობდა 426 ათასიდან — 465 ათასამდე „მესხი“; მათ შორის: აზერბაიჯანში - 135 ათ., ყაზახეთში — 150 ათ., უზბეკეთში — 30 ათ., ყირგიზეთში — 50 ათ.- 70 ათ., უკრაინაში — 9,2 ათ., თურქეთში 35 ათ., რუსეთში — 25 ათ., საქართველოში — 650 და აშშ-ში — 1,5-2 ათ., რაც 6-7 ჯერ მეტია, ვიდრე 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მაჰმადიანების რიცხვი.** თუ გავითვალისწინებთ, რომ დეპორტირებულთა 15-30 % - მა ვერ მიაღწია განსახლების ადგილს, ეს ფარდობა გაიზრდება 8-9,5-მდე. ინტერესს მოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ დროის ამავე შუალედში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა მხოლოდ 1,23-ჯერ (3540 ათასიდან 1939 წელს 4355 ათასამდე 2002 წელს.), თუმცა მოსახლეობის მატება საქართველოში 1989 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, გასაგები მიზეზის გამო, რამდენადმე მაღალი იყო (1,52). **სხვანაირად რომ ვთქვათ, „თურქ-მესხებად“ ამჟამად კი უბრალოდ „მესხებად“ წოდებული მუსულმანების მასაში მნიშვნელოვანი წილი უნდა მოდიოდეს საქართველოს ფარგლებს გარეთ სამხრეთ კავკასიის სხვა რეგიონებიდან გასახლებულ მუსულმანებსა და მათ შთამომავლებზე.**

8. ოფიციალურად აღიარებულია, რომ საქართველოდან მაჰმადიანების დეპორტაცია მოხდა ე.წ. „სტალინური რეჟიმის“ დანაშაულებრივ ქმედებათა გამო. ფაქტები კი მოწმობენ, რომ ეს აქცია განპირობებული იყო საბჭოთა ხალხის გერმანიის ფაშიზმთან ომის სტრატეგიითა და ტაქტიკით. ჯერ კიდევ 1944 წლის აგვისტო-სექტემბერში, როდესაც წითელი არმიის ნაწილები იბრძოდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და მიადგნენ თურქეთის საზღვრებს დასავლეთიდან, საბჭოთა სარდლობას გადაწყვეტილი ჰქონდა თურქეთისათვის შეეტია ორი მხრიდან — ბალკანეთიდან და სამხრეთ კავკასიიდან, რათა დაემყარებინა კონტროლი დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებზე და, იმავ დროს, გაეთავისუფლებინა ოსმალეთის მიერ XVI ს-ის დამლევს ანექსირებუ-

◎ განსჯა

# „არის ასეთი პარტია!“ (ვლ. ლენინი)

# „ჯერ არ არის, მაგრამ მალე იქნება!“ (ირ. ოქრუაშვილი)

**(მესამე გვერდიდან)**

დემოკრატიული ფრონტის წარმომადგენელი დავით ზურაბიშვილი კი ოქრუაშვილს (და მასთან ერთად ბადრი პატარკაციშვილს) ოპოზიციის გამაერთიანებლად მოიაზრებს (ე.ი. ბატონმა დავითმა ან არ იცის ოპოზიციური ძალების განწყობა, ან გაერთიანებას ოქრუაშვილთან „გაქცეულ“ ოპოზიციონერ პარტიელებში ხედავს, ან, უბრალოდ, ემლიქვნელება მას და ბადრი პატარკაციშვილსაც, რადგანაც ამბობენ, პატარკაციშვილიც ქმნის პარტიასო).

მხოლოდ იდეოლოგიურად მყარი პარტიები არ წავლენ ახალ პარტიასთან არანაირ კონტაქტზე, რადგანაც, გარდა ფულისა, კიდევ არის პრინციპებიც, პრინციპები, რის მთავარ თეზისადაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი თავმჯდომარის გია ჭანტურიას მიერ 1989 წლის დეკემბერში ჩემთვის ნათქვამი მიმაჩნია: პოლიტიკა იმდენად ბინძური საქმეა, რომ ის სუფთა ხელებით უნდა აკეთოო.

ფრიად საინტერესოა ხელისუფლების წევრთა დამოკიდებულება ამ ორგანიზაციის მიმართ. მისმა თითქმის ყველა წარმომადგენელმა კარგად იცის, თუ რას ემსახურება ეს პარტია (მისი მთავარი მიზანი ოპოზიციის დასუსტებაა), მაგრამ რადგანაც ყველას „თავი ქუდში“ (ანუ ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო სიაში) არა აქვს, ამიტომ მათი რეაქცია სხვადასხვაგვარია.

ე. წ. „ბობოლები“ საერთოდ არ აკეთებენ არანაირ კომენტარს და, თუ მაინცდამაინც „მასმოდა 2007“-ის რომელიმე ჟურნალისტი ძალიან ჩააცივდება, ირონიული ღიმილით წარმატებას უსურვებენ ახალ პარტიას, ხოლო ვრცელ კომენტარს კვლავ კობა ხაბაზს დაავალებენ (მისი კომენტარით კი ახალ პარტიას არანაირი პერსპექტივა არა აქვს, ხოლო ნაცმოძრაობიდან ორი სამი კაცის წასვლას არანაირი გავლენის მოხდენა არ შეუძლია „დედა პარტიის“ ძალაზე, მაგრამ პარალელურად, დავით კირკიტაძე ჩვეულ სტილში აშინებს წასვლის მსურველებს (აშინებს, ოღონდ ჩუმად). მეორე რანგის მუშაკები ჯერჯერობით თავს იკავებენ მკვეთრი გამოთქმებისგან, მაგრამ ერთდროულად ცდილობენ ნაცმოძრაობისადმი თავიანთი ერთგულების დამტკიცებასაც და ოქრუაშვილთან მისასვლელი ხიდების მყარად შენარჩუნებასაც.

პრეზიდენტმა ყველაზე კარგად უწყის ამ ახალი „ოპოზიციური ძალის“ ამბავი (მგონი, პარტიის წევრებზე უკეთ), ასევე კარგად იცის, რომ ეს პარტია მისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს (როგორც ანალიზიდან ჩანს, პირიქით), რადგანაც, გავიმეორებ, ოქრუაშვილი პოლიტიკოსი არ არის და ის არც რუსებს ეხატებათ გულზე და არც ამერიკელებს. სწორედ ამიტომ, ყველაზე მშვიდად ამ აჟიოტაჟში ბატონი პრეზიდენტი იქნება.

დარჩა მთავარი კითხვა: კი მაგრამ — ხალხი?

აბა, რა გითხრათ? იფიქრეთ და თქვენი არჩევანი თქვენვე გააკეთეთ. იფიქრეთ, ოღონდ, კარგად, დაკვირვებით. მჯერა, თქვენი სიბრძნისა და, რაც უნდა გამოუსწორებელი ოპტიმისტი მეძახონ, მაინც მჯერა, რომ ჩვენი საზოგადოება, ბოლოს და ბოლოს, მიხვდება, რომ თავის თავს თვითონ უნდა მიხედოს, მიხვდება, რომ არ არის არც ხელოვნურად შექმნილი გმირებისა და არც ცრუ წინასწარმეტყველების ძებნის დრო. უფრო სწორად, რომ ვთქვა, აღარ არის. აღარ არის, რადგანაც ნამდვილი საქმეა საკეთებელი, ნამდვილი ქართული საქმე.

**გია გაბრიჭიძე**

● „ყოფილ სსრკ-ს მიერ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში საქართველოდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა პარლამენტში უნდა შეჩერდეს



◎ სიტუაცია

ლი ქართული და სომხური მიწები. სსრკ-ის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში, მძიმე ომის მიუხედავად, გადაწყვიტეს თურქეთზე ელვისებური შეტევის წინ სამხრეთ კავკასიის რეგიონებიდან საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის 20-25 კმ- იან ზონაში სასწრაფოდ მოეხდინათ პროთურქული მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაცია, რაც განხორციელდა კიდეც 1944 წლის სექტემბერ-ნოემბერში. საბჭოთა სარდლობის ჩანაფიქრი დასკვნითი ეტაპზე მაინც ვერ შედგა მოკავშირეთა წინააღმდეგობის გამო, რადგან შიშობდნენ, თურქეთის დამარცხების შემთხვევაში გაიზრდებოდა საბჭოთა კავშირის გავლენა შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე, რაც მოკავშირეებს ხელს არ აძლევდათ.

მარეობის მხედველობაში მიღება პრობლემის განხილვის დროს გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მოსახლეობის სოლიდურ ნაწილს აწუხებს ქრონიკული უმუშევრობა, აქვს სიმბოლური ხელფასები და პენსიები, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი კრიმინოგენური სიტუაცია, კორუფცია, ძალადობა, მკვლელობა და სხვა. მძვინვარებს ნარკომანია, არც თუ იშვიათად მოწმენი ვართ სახელმწიფო მოხელეთა დანაშაულებრივი ქმედების და დაბალი პროფესიონალიზმის. ქვეყანაში არსებული ციხეები და შრომა-გასწორებითი კოლონიები გადაჭედილია მსჯავრდებულებით. გახშირდა ადგილობრივ ხელისუფალთა წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციები და სხვა.

სავსებით ცხადია, რომ პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ არ მოხდა ქვეყნის გამთლიანება, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი მოსახლეობის საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება და უსაფრთხოდ ცხოვრება, თუ არ განხორციელდა საქართველოს ფარგლებს გარეთ ასეულ ათასობით შრომისუნარიანი, საარსებო წყაროს საშოვნელად იძულებით გახიზნული მოსახლეობის სამშობლოში დაბრუნება. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის საყოფაცხოვრებო პირობები კიდევ უფრო მეტად მძიმდება ქვეყანაში არც თუ იშვიათად მძვინვარე ბუნებრივი კატაკლიზმების (მიწისძვრების, მეწყერების, წყალდიდობების, დატბორვების და სხვ) გამო, რასაც თან სდევს დასახლებული პუნქტების, სავარგულების, გზების, ხიდების, ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ობიექტების ნგრევა, ადამიანთა მსხვერპლი და სოლიდური მატერიალური ზარალი. ზემოხსენებულის გამო განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ჩვენი ქვეყნისათვის თავსმოხვეული, თანამედროვეობისათვის ერთ-ერთი რთული, საზოგადოების გაუცნობიერებელი და ბოლომდე გაუხსნელი ე. წ. „თურქი მესხების“, ამჟამად კი „მესხების“ პრობლემის. სინამდვილეში იგი არ წარმოადგენს ერთი ქვეყნის საქართველოს, და მისი ხელისუფლების გადასაწყვეტ პრობლემას.

**უპირველეს ყოვლისა, უნდა გაუქმდეს, ან უკიდურეს შემთხვევაში გადაიხედოს ევროსაბჭოს მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის თავსმოხვეული უკანონო და დაუსაბუთებელი ვალდებულება „1944 წ. საქართველოდან დეპორტირებული მაჰმადიანებისა და მათი შთამომავლობის რეაბილიტაციის შესახებ“. უპრიანი იქნება თუ ევროსაბჭო, საქართველოს საზოგადოების სამართლიანი თხოვნით, თავად გამოასწორების მის მიერვე დაშვებულ შეცდომას.**

იმდროინდელი მოვლენების ჭეშმარიტების დასადგენად ყადაღა უნდა მოეხსნას 1944 წ სამხრეთ კავკასიაში განხორციელებული მაჰმადიანების იძულებით დეპორტაციის ამსახველ, საზოგადოებისათვის დღემდე უცნობ მასალებს, **რათა სარწმუნოდ დადგინდეს 1944 წლის დამლევს სამხრეთ-კავკასიის რომელი ქვეყნიდან (რეგიონიდან) განხორციელდა მაჰმადიანების დეპორტაცია, რა იყო ამის მიზეზი და როგორი იყო დეპორტირებული მოსახლეობის რიცხოვნობა და ეთნიკური შემადგენლობა, როგორ წარიმართა მათი და შთამომავლების ცხოვრება დეპორტაციაში და 1956 წ. განხორციელებული მათი რეაბილიტაციის შემდეგ? მიზანშეწონილია დადგინდეს დეპორტირებულ პირთა და მათი შთამომავლობის რიცხოვნობა და ეთნიკური შემადგენლობა ამჟამად, მათი განთავსების ადგილები, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, საქმიანობა და სხვა მაჩვენებლები. სასურველია ვიცოდეთ ამ ხალხის ამჟამინდელი ხედვა და მენტალიტეტი მსოფლიო და ლოკალური მოვლენებისადმი, საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი.** მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დადგინდეს ქვეყნები და მათი კონკრეტული ვალდებულებები, რაც მათ შეიძლება დაეკისროთ თანამედროვეობის ამ მეტად ხანდაზმული, რთული და მცდარი მონაცემებით დახუნძლული პრობლემების გადასაწყვეტად. **რაც შეეხება არასწორ მონაცემებზე აგებულ „ყოფილ სსრკ-ს მიერ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში საქართველოდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ კანონპროექტს, მისი განხილვა პარლამენტში უნდა შეჩერდეს თუნდაც ზემოთ აღნიშნული საკითხების დაზუსტებამდე.**

აუცილებელ სამუშაოთა კოორდინაცია თავის თავზე უნდა აიღონ გავლენიანმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა (გაერო, ეუთო, ევროსაბჭო, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია და სხვანი). მასში მოზიდული უნდა იქნენ იმ ქვეყნების ხელისუფალთა წარმომადგენლები, საიდანაც განხორციელდა მაჰმადიანების დეპორტაცია, სადაც მოხდა მათი განთავსება, სადაც ცხოვრობდნენ დეპორტაციის შემდეგ და ამჟამად დეპორტირებულები და მათი შთამომავლები. სამუშაოებში უნდა ჩაერთვნენ ამ ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოები და ძალოვანი უწყებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვანი, ვისაც კი ხელეწიფება ამ საკითხებზე მსჯელობა და პრობლემის გადაწყვეტა. სამუშაოებში უნდა მოიზიდონ მაღალი კვალიფიკაციის მქონე პოლიტოლოგები, კონფლიქტოლოგები, სოციოლოგები, ისტორიკოსები, ფსიქოლოგები, იურისტები, სასულიერი პირები და სხვანი. სავსებით ნათელია, რომ სამუშაოები შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად და შედეგიანად, თუ ისინი დაეფუძნებიან ჭეშმარიტად აღიარებულ მოვლენებზე, ფაქტებსა და შედეგებზე, რაც, ბუნებრივია, უაღრესად დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

თავის მხრივ საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია რეფერენდუმის გზით გამოჰკითხოს საკუთარი მოსახლეობას, გაარკვია თუ რა აზრისაა 1944 წელს მხოლოდ საქართველოდან დეპორტირებული მუსულმანი მოსახლეობისა და მათი შთამომავლების ქვეყანაში კომპაქტურად თუ განცალკევებულად განსახლებაზე, ამჯერად უკვე სარწმუნოდ დადგენილი მონაცემების შესაბამისად. რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ აქციას? ხომ არაა მოსალოდნელი ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაციის შემდგომი გაუარესება ქართველი ერის საზიანოდ? ყურადსაღებია აგრეთვე საქართველოდან შრომისუნარიანი მოსახლეობის საზღვარგარეთის ქვეყნებში ინტენსიური მიგრაციის და პირიქით, საზღვარგარეთიდან ჩვენს ქვეყანაში სხვა ერებისა და ეთნოსების საქართველოში ჩასახლების ტენდენცია. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საქართველოს მომავალთან, რომელიც ძალზე დაფიქრებული ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. გასულ წლებში ბევრი შეცდომა დავუშვით ეროვნულ საკითხებთან მიმართებაში. დღეს უაღრესად ფრთხილი და გონივრული პოლიტიკის გატარება გვმართებს, რაც გარკვეულწილად დაამშვიდებს და სტაბილურს გახდის საქართველოში მცხოვრები ერების და ეთნოსების ურთიერთდამოკიდებულებას და მასში ერთიანი მოქალაქეობრივი მრწამსის ჩამოყალიბებას.

# პრობლემას მხოლოდ ვერ გადაწყვეტს

9. უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეს აქცია იძულებითი იყო. განა მსოფლიო არ იყო იმის მოწმე, რომ იაპონიასთან ომის დაწყებისთანავე აშშ-ის პრეზიდენტ ფ. რუზველტის 1942 წ 19 თებერვლის დეკრეტით განხორციელდა შტატებში მცხოვრები იაპონელების განსახლება ე. წ. „რეზერვაციის“ ზონებში. 1944-45 წ.წ. კი პოლონეთიდან, ჩეხეთიდან, სლოვაკეთიდან, სლოვენიიდან და დანიიდან გაასახლეს გერმანელები და უნგრელები. ეს აქციები არ ჩაუთვლიათ ამ ქვეყნებში არსებული რეჟიმების უკანონო ღონისძიებად. მხოლოდ საბჭოთა კავშირში რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ე. წ. „თურქი მესხების“ დეპორტაცია აღიარეს უკანონო და დანაშაულებრივ ქმედებად. ამ ბრალდების ავტორებს, „სტალინის კულტის“ კრიტიკის ფონზე სურდათ კიდევ უფრო მეტად „დაემძიმებინათ“ სტალინის ბრალეულობა საბჭოთა ხალხისა და კაცობრიობის წინაშე.

10. ე.წ. „თურქი მესხების“ ან უბრალოდ „მესხების“ პრობლემების სამართლიანი გადაწყვეტის მიზნით ზემოთ ჩამოთვლილი რეალურად არსებული ფაქტებისა თუ მავანთა მიერ განხორციელებული ქმედებების აღიარების გარდა, აუცილებელია საქართველოში ამჟამად შექმნილი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგო-

**ალექსი მიქელაძე,**
**პროფესორი.**

◎ ინფორმაცია

## ყვავი-ჩხიკვის მამიდასაც დახვედრა უნდა...

**საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მამის დეიდაშვილი ჯონ უოკერი ეწვევა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსისათვის“ საქართველოში აშშ-ს საელჩოში გახდა ცნობილი, ჯონ უოკერი თბილისში ივლისის შუა რიცხვებში ჩამოვა. პრეზიდენტის ნათესავი მოსამართლეა და საქართველოში იგი სასამართლო სისტემაში არსებულ მდგომარეობას შეისწავლის.**

**ჯონ უოკერი საქართველოში ერთი კვირის განმავლობაში დარჩება და სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდება.**

## ელექტროენერგია — რუსეთს

**საქართველო რუსეთს 200 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიას აწვდის. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემიდან“ აცნობეს.**

**კომპანიის ცნობით, ელექტროენერგია რუსეთს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონის“ მეშვეობით მიეწოდება. ელექტროენერგიის გაცვლა საქართველოს მთავრობას და „ინტერ რაო ეეს“-ს შორის გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს.**

**ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ ინფორმაციით, დღე-ღამეში, 2 ივლისის მდგომარეობით, რუსეთს 3,88 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგია მიეწოდება.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ ველოდოთ თუ ვიმოქმედოთ?

# ვლადიკავკაზში „კონტრაქტნიკების“ შეკრების ბუმია,

## თუ რუსეთი შიდა ქართლში ომის განახლებას მოინდომებს, მათ ოხრად ექნებათ იარაღიც, არაყიცა და ფულიც – ჩვენი სისხლის საფასური

ე. წ. რუსი სამშვიდობოები ავნევ-ნიქოზის შემოვლითი გზიდან კი გადავდენეთ, მაგრამ ისინი კონფლიქტის ზონიდან არსად წასულან და „მურმანის ეკალივით“ არა და არ აძლევენ მშვიდობისმოსურნე, კოკოითის დანაშაულებრივი რეჟიმით ერთნაირად გაწამებულ ოს და ქართველ ხალხს ურთიერთისთვის ხელის გაწვდენის საშუალებას. უწყლობით გასავათებულ ცხინვალში ნაწლავის ინფექციური დაავადებებიც გავრცელდა. ხალხი იძულებულია დაბინძურებული წყალი სვას.

ზნაურის, ახალგორის, გორის, კასპისა და ქარელის 40-ზე მეტი სოფელია დარჩენილი სარწყავი წყლის გარეშე. უბედურება კიდევ ისაა, რომ ცხინვალიდან წყალიც რომ გამოუშვან, ბევრ ქართულ სოფლამდე ის მაინც ვერ მიაღწევს, რადგანაც სეპარატისტთა ტერიტორიიდან გასვლის ადგილებში მილსადენები მოშლილია, ხოლო არხები – ამოვსებული. ეს ხომ მშვენივრად უწყიან რუსმა სამშვიდობოებმა? ეს ვანდალიზმი, მთელი წლის სარჩო-საბადებელს რომ უოხრებს და საშიმშილოდ წირავს მილეთის ხალხს, ხომ მათ თვალიწინ (ალბათ, დახმარებითაც) ჩაიდინეს სეპარატისტებმა?! კულახმეტოვი კი ყოვლად უტიფრად პირდებოდა ერგნეთის საგუშაგოს მიმდგარ გორის რაიონის 18 სოფლის მოსახლეობას, 24 საათში მოვაგვარებ ამ საკითხსო და მერე ისე გაშპა, მისი ასავალ-დასავალი ველარავინ გაიგო.

ხალხმა კი კარვები დასცა. შენაცვლებით, სამ-სამი სოფელი იმორიგევებს ერგნეთთან. აქცია წყლის გამოშვებამდე გასტანს.

სეპარატისტებთან მოლაპარაკებები უშედეგოა. ქართული მხარე ამტკიცებს, წყლის საკითხი ამ ჭიჭიპიტოების დონეზე ვერ გადაწყდებაო. ანუ, იგულისხმება, ბრძანება მოსკოვიდან უნდა გაიცეს. რუსეთი თან თითქოს საჰაერო სივრცეს გვიხსნის, თან კი ხალხს უწყლობით ხდის სულს. ტკბილი კვერისა და მათრახის ჩვეული პოლიტიკაა.

ამასობაში კი ბატონი დიმიტრი სანაკოევი ახლა უკვე ბათუმის საერთაშორისო ფორუმზე გამოდის და ევროკავშირს კონფლიქტის მოგვარებაში უფრო აქტიურად ჩართვისკენ მოუწოდებს. რალა თქმა უნდა, ეს კიდევ უფრო გაალიზიანებს, ცალკერძ, სეპარატისტებს, და, ცალკერძ, მოსკოვს.

თითქოსდა, მეტი რალა გალიზიანება? მაგრამ მოქმედებაც რომ დაწყებულა? ქართული სპეცსამსახურების ცნობით, ვლადიკავკაზში, ანუ რუსეთის ფედერაციაში, მოხალისეთა, იგივე „კონტრაქტნიკთა“ ჩაწერა-შეკრების ბუმია. თუკი რუსეთში ვინმეა ჩეჩნეთში, დნესტრისპირეთში, აფხაზეთსა და შიდა ქართლში ქალების, მოხუცებისა და ბავშვების ჟლეტაში ხელგაწაფული, თურმე, ყველა იქ იყრის თავს და რიკოთისკენ მიედინება. ექსპერტთა მტკიცებით, თუ რუსეთი შიდა ქართლში სამხარი მოქმედების განახლებას მოინდომებს, ზემოხსენებულ არაკაცებს იარაღიც ოხრად ექნებათ, არაყიცა და ფულიც – ჩვენი სისხლის საფასური...

**კოტე სარალიძე**

# უცხოური პრესა

● სწორედ ამ სოფელზე გადის წყალსატარი, რომელიც სასმელი წყლით ამარაგებს ცხინვალს. როგორც ქურთაში ამტკიცებენ, ცხინვალის ხელისუფლება წყალს იყენებს პოლიტიკურ არგუმენტად, რათა თბილისს აიძულოს დიმიტრი სანაკოევის და მისი ადმინისტრაციის გაყვანა სამხრეთ ოსეთიდან

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## წყლის ზავი




გასულ უქმე დღეებში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კვლავ მღელვარება იყო. ცხინვალს ისევ უშენდნენ ცეცხლს. ვითარების გამწვავების საბაბი გახდა წყალმომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც ექსპერტების დონეზე უნდა გადაიჭრას. სამხრეთ ოსეთის არასამთავრობო ორგანიზაციათა მტკიცებით, თვითალიარებულ რესპუბლიკასთან ურთიერთობისას არ იცავენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს. აფხაზეთის და ჩრდილოეთ ოსეთის ლიდერები მხარს უჭერენ ცხინვალს.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვითარების მორიგი გამწვავების მიზეზი გახდა წყალმომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემები. სამხრეთ ოსეთის მეზობელი გორის რაიონის რამდენიმე ქართული სოფლის მოსახლეობამ სოფელ ერედვთან გადაკეტა ცხინვალში შესასვლელი გზები და სამხრეთ ოსეთის დედაქალაქისკენ არ გაატარა რამდენიმე ავტომანქანა, მათ შორის, სამარშრუტო ტაქსებიც, რომლებიც ოსური სოფლებიდან გორის რაიონის ტერიტორიის გავლით მიდიოდნენ. ზოგიერთი მონაცემებით, სამარშრუტო ტაქსების მგზავრები მძევლადაც აიყვანეს.

ამავე დროს, „წყლის" პიკეტის ორგანიზატორები ამ ფაქტს უარყოფენ და თავიანთ მოქმედებას განმარტავენ იმით, რომ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ გადაკეტა წყალსატარი, რომელიც სასმელი წყლით ამარაგებს გორის რაიონს. ქართული სოფლების მოსახლეობა თავის აქციას ასე განმარტავს: „ჩვენ არ გვაქვს წყალი, სასმელი წყალიც კი, მოსავალი ილუპება, ვაშლის ხეები გახმა სიცხისგან. არავის არ გავატარებთ ამ გზაზე. დავდგით კარვები და აქ დავრჩებით მანამ, სანამ ცხინვალი არ შეწყვეტს წყალსატარის ბლოკირებას".

სიტუაციის დარეგულირება მოხერხდა მას შემდეგ, რაც საქმეში ჩაერია სამშვიდობო ძალების სარდალი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მარატ კულახმეტოვი. იგი მოსახლეობას დაპირდა, რომ ქართული სოფლების წყლით უზრუნველყოფის საკითხს ექსპერტთა დონეზე გადაწყვეტდნენ, რომლებიც თბილისიდან ჩავლენ ცხინვალში იქ არსებულ პრობლემებში გასარკვევად. აქციის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ დაუყოვნებლივ მოეხდინათ ზემოქმედება ცხინვალის ხელისუფლებაზე და ეიძულებინათ იგი გამოეშვა წყალი, მაგრამ მარატ კულახმეტოვმა განაცხადა, რომ ეს „აღემატება მის უფლებამოსილებას".

გასული კვირის დამლევს თვითალიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი, რომელიც მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას აელო ხელი აგრესიულ მოქმედებაზე და განეახლებინა მოლაპარაკება, აღნიშნავდა, რომ რეგიონში დაძაბულობის მოხსნის მიზნით სამხრეთ ოსეთის მხარე მზად არის გახსნას სარწყავი არხები ქართული სოფლებისთვის. ამას კოკოითიმ „კეთილი ნების გამოვლინება" უწოდა. ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზების გამო, ეს დაპირება აქამდე შეუსრულებელი რჩება.

ამავე დროს, ერგნეთთან მიმდინარე საპროტესტო აქციას სხვა სოფლების მცხოვრებლებიც უერთდებიან. ისინი აცხადებენ, რომ აქციას მიეცემა პერმანენტული ხასიათი და გაგრძელდება მანამ, სანამ არ მიიღებენ წყალს.

ამ მომენტისთვის ცხინვალისკენ მიმავალი საავტომობილო ტრასა გახსნილია. ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიის პატრულირება კი გაძლიერდა ცალმხრივი სამშვიდობო ძალების სამხედრო მეთვალყურეთა ხარჯზე, იტყობინებოდა სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და პრესის კომიტეტი. ასეთი ნაბიჯები გადაიდგა მას შემდეგ, რაც შაბათს ქართული სოფლის თამარეშნის მხრიდან კვლავ დაუშინეს ცეცხლი ცხინვალს. სროლის შედეგად დაიღუპა ერთი ადამიანი, 4 კი – დაიჭრა. ქართული მხარე უარყოფს თავის მონაწილეობას ცეცხლის დაშენაში.

ამავე დროს, თვითალიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა კვლავ მოუწოდებს საერთაშორისო გაერთიანებას, რომ შეუწყოს ხელი კონფლიქტის მოგვარებას. თვითალიარებული რესპუბლიკის არასამთავრობო ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობაში არ იცავენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, და აცხადებენ, რომ სხვადასხვა საერთაშორისო სტრუქტურების, მათ შორის გაეროს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ეუთოს, ევროპარლამენტის სახელზე, აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფოთა საელჩოებში გაგზავნილი არაერთი მიმართვის მიუხედავად, პასუხი არ მიუღიათ.

„ჩვენ, სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდული ორგანიზაციები, ისე როგორც მთელი სამოქალაქო სექტორი, კვლავ მივმართავთ ყველა კეთილი ნების ადამიანს, ყველას, ვინც ქადაგებს დემოკრატიულ ღირებულებებს, რომ ყურად იღონ ჩვენი ხმა. 21-ე საუკუნეში თვით რამდენიმე ათეული ადამიანის სიცოცხლის უგულებელყოფა დანაშაულია, უკვე არაფერს ვამბობთ იმაზე, როცა ნადგურდება მთელი ერი", – ხაზგასმულია განცხადებაში, რომელიც განათავსეს თვითალიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ინფორმაციისა და პრესის კომიტეტის საიტზე.

კონფლიქტს გამოეხმაურნენ მეზობელი რესპუბლიკების მეთაურებიც. ჩრდილოეთ ოსეთის და აფხაზეთის პრეზიდენტები შეშფოთებული არიან დაპირისპირების ზონაში დაძაბულობის ესკალაციის გამო. თვითალიარებული აფხაზეთის რესპუბიკის მეთაურმა სერგეი ბაღაფშმა უპირობო მხარდაჭერა გამოუცხადა ცხინვალის ხელისუფლებას და აღნიშნა, რომ მზად არის რესპუბლიკას გაუწიოს საჭირო დახმარება. „აშკარაა, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს პროვოკაციული გზით გამოიწვიოს საომარი მოქმედების განახლება და მას იმედი აქვს, რომ შეძლებს სამხრეთ ოსეთში საოკუპაციო რეჟიმის დამყარებას, – მიაჩნია ბაღაფშს. – ასეთი აგრესიული მოქმედება საქართველოს ხელმძღვანელობის გეგმის პრაქტიკული განხორციელებაა, რომელსაც არაერთგზის განუცხადებია ყველას გასაგონად, რომ უახლოესი მომავლისთვის აპირებს „სამხრეთ ოსეთის" პრობლემის გადაჭრას".

ბაღაფშისთვის გაურკვეველია საერთაშორისო გაერთიანების, კერძოდ კი ეუთოს პოზიცია. მისი აზრით, „კონფლიქტის დარეგულირების პროცესის ობიექტურმა საერთაშორისო შუამავლებმა დაუყოვნებლივ უნდა დაგმონ საქართველოს სამხედრო პროვოკაცია და სააკაშვილის აგრესიული რეჟიმს იძულებით აღებინონ ხელი კონფლიქტის შემდგომ ესკალაციაზე". საერთაშორისო შუამავალთა დუმილი, დარწმუნებულია ბაღაფში, შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ „ომის პარტიის" აშკარა მხარდაჭერას. „ასეთ შემთხვევაში, ამ ავანტიურის ტრაგიკული შედეგებისათვის პასუხისმგებლობაც მათ თანაბრად უნდა გაინაწილონ საქართველოს ხელმძღვანელობასთან ერთად ", – აღნიშნა ბაღაფშმა.

ჩრდილოეთ ოსეთის მეთაური თეიმურაზ მამსუროვიც ქართულ მხარეს ადანაშაულებს კონსტრუქციული დიალოგისათვის თავის არიდების გამო. მამსუროვის თქმით, თბილისი დღემდე „შეპყრობილია ილუზიით", რომ ძალის გამოყენებით შეძლებს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებას. თეიმურაზ მამსუროვი დაჟინებით მოითხოვს მუშაობის განახლებას არსებული მოლაპარაკების ფორმატის ფარგლებში, რათა მოიხსნას სერიოზული დაძაბულობა კონფლიქტის ზონაში. იგი მოუწოდებს საქართველოს ხელმძღვანელობას ძირეულად შეცვალოს სამხრეთ ოსეთის მიმართ შერჩეული სტრატეგია.

გარდა ამისა, ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქში გაიმართა ცხინვალის ხელისუფლების მხარდამჭერთა მიტინგი, რომელზეც შეიკრიბა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან ჩასული 1500 კაცი. ვლადიკავკაზში მომიტინგეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტს და მთლიანობას და მოითხოვეს, რომ საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები დაუყოვნებლივ მიუჯდნენ მოლაპარაკების მაგიდას, რათა ცივილიზებული გზით გადაწყვიტონ ყველა სადავო საკითხი.

ქართველ ექსპერტებს წყალთან დაკავშირებული სიტუაციის მთავარ მიზეზად მიაჩნიათ მხარეთა შორის არსებული სისტემური დაპირისპირება, რასაც იწვევს საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული დიმიტრი სანაკოევის „დროებითი ადმინისტრაცია", რომელიც ცხინვალის რეგიონის ქართულ სოფელ ქურთაშია განლაგებული.

სწორედ ამ სოფელზე გადის წყალსატარი, რომელიც სასმელი წყლით ამარაგებს ცხინვალს. როგორც ქურთაში ამტკიცებენ, ცხინვალის ხელისუფლება წყალს იყენებს პოლიტიკურ არგუმენტად, რათა თბილისს აიძულოს დიმიტრი სანაკოევის და მისი ადმინისტრაციის გაყვანა სამხრეთ ოსეთიდან.

სხვაგვარ მოსაზრებას გამოთქვამენ რუსი ექსპერტები. როგორც დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვლადიმერ ჟარიხინმა განაცხადა, „ცეცხლის დაშენა ხდება იმის გამო, რომ მიიპყრონ ყურადღება. ქართულ მხარეს ძალზე ეშინია იმის, რომ ორი სუპერსახელმწიფოს პრეზიდენტს თავიანთ სამიტზე შეიძლება დაავიწყდეთ დიდი საქართველოს თემაზე ლაპარაკი".

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

---

*ალბათ, მხოლოდ ბრმა თუ ვერ დაინახავს იმას, რომ „დიდ პოლიტიკას" უკავშირდება ამ ბოლო ხანებში მიმდინარე ქართულ-ოსური დაპირისპირების ქრონიკა. როგორც წესი, ყველაფერი ქართველებმა დაიწყეს. მათ ერთბაშად სამი (!) ტანკი შეიყვანეს სამხრეთ ოსეთში და თითქმის მაშინვე გამოიყვანეს ისინი, ხოლო ქართული სოფლებიდან გახსნილი ცეცხლი იყო თავისებური გზავნილი მთელი „ცივილიზებული სამყაროსა" და პირადად პრეზიდენტ ბუშისთვის, რომელიც სწორედ ახლა აპირებს საბოლოოდ გადაჭრას კოსოვოს პრობლემა. ძვირფასო ამერიკელებო, არ დაგვივიწყოთ!*

## თბილისი კვლავ ატერორებს ცხინვალს და ამერიკელთა მხარდაჭერის იმედი აქვს



ამ გულუბრყვილო ადამიანებს ეგონათ, რომ როგორც კი ბუში შეიტყობდა საქართველო-ოსეთის საზღვარზე სიტუაციის გამწვავების შესახებ, დაჰკრავდა მუშტს მაგიდას, მკაცრად გაკიცხავდა მრჩევლებს და ამერიკის მეექვსე ფლოტს გაგზავნიდა შავ ზღვაში ოსების დასაშინებლად. ან იქნებ, პუტინზეც მოეხდინა ასეთი გზით ზემოქმედება...

მაგრამ ქართველ პოლიტიკოსთა არაჯანსაღმა ეგოცენტრიზმმა ისინი კიდევ ერთხელ დაალალატა. მათ მიერ გაკეთებული განცხადებებით და საქციელით თუ ვიმსჯელებთ, ეს ადამიანები სერიოზულად ფიქრობენ, რომ მათი პატარა ქვეყანა, რომელსაც აქტივში მხოლოდ მეზობლებთან გაუარესებული ურთიერთობა აქვს, შეიძლება გახდეს შეერთებული შტატების დიდი გეგმების ნაწილი.

თუმცა, რაღაც შინაგანი გრძნობით, ქართველ პოლიტიკოსებს მაინც შეგნებული ჰქონდათ, რომ მათი მდგომარეობა არ იყო მდგრადი, და ამიტომაც სამხრეთ ოსეთზე მორიგი შეტევაც მთლად ისეთი არ ყოფილა, როგორც ნამდვილ ომს შეეფერებოდა. ერთიორი გაისროლეს აქ, იქ... ხომ შეიძლება, შეერთებულმა შტატებმა გადაიფიქროს, და აღარ გამოექომაგოს საქართველოს? მთლად კარგად არ წავა მაშინ საქმე – ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ცოცხალმა ვერც გამოასწრო ცხინვალიდან რუს სამშვიდობოებსა და თვით ოსებსაც კი.

და მართლაც, ამ საქმეში დიდად წაადგათ ქართველ პოლიტიკოსთა სიბრძნე და სიფრთხილე. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს რისხვით სავსე განცხადებები არ გაუკეთებია, თანაც ეს ყველასათვის გასაგები მიზეზების გამო მოხდა. ჯორჯ ბუშს სურს, რომ პოსტიდან ლამაზად თუ ვერ წავა, ეს ღირსეულად მაინც მოახერხოს: ბრძოლის ველზე არ მიატოვოს ალაფი და დაჭრილები. თავისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვისათვის ბუშს ყველაზე ნაკლებად სჭირდება რუსეთთან რაღაც კონფლიქტის გაჩაღება, თანაც ისეთი სახელმწიფოს გამო, რომლის არსებობის შესახებაც ამერიკელთა უმრავლესობამ არაფერი იცის.

ქართველთა მიერ ნასროლი ტყვიები მიზანს ასცდა, თუმცა გზადაგზა სამი კაცი მაინც დაჭრეს. მაგრამ ყოველივე ეს წვრილმანია იმ გეოპოლიტიკასთან შედარებით, რომელსაც ასეთი კმაყოფილებით ახორციელებს ქართული ელიტა.

თუმცა, ანალიტიკოსთა პროგნოზით, სულ მალე ამოიწურება ის ვადა, როცა საქართველო ეცდება შეერთებული შტატების ჩრდილს ამოფარებული დიდი რეგიონული სახელმწიფოს როლის შესრულებას. ბუშის ოპონენტებმა სულ ცოტა ხნის წინათ წარუდგინეს პრეზიდენტს „ანგარიში" საგარეო პოლიტიკაში დაშვებული შეცდომების გამო. ძირითადი პრეტენზია იყო რუსეთთან გაუარესებული ურთიერთობა. ძნელი წარმოსადგენია, რომ შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია ეცდება მოსკოვთან დიალოგის დამყარებას ყველა ხმაურიან წამოწყებებში საქართველოს უპირობო მხარდაჭერის გზით. ოსები მეხსიერებას არ უჩივიან, თანაც იარაღიც საკმარისად აქვთ. მათ კარგად ახსოვთ, რომ ამ ბოლო წლებში მეზობლებმა დიდი უბედურება დაატეხეს თავს. საქმე ისე არ შეტრიალდეს, რომ საქართველოს მოუწიოს წყლის სმა რუსული ჭიდან, რომელშიც იგი ახლა აფურთხებს...

**დიმიტრი სტეშინი**

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

№ 128. ორშაბათი, 4 ივნისი, 2007 წელი.

# რასაც გვჭირს

● ამ დღეებში პრეზიდენტმა და ქალაქის მერმა ნაძალადევში დიდი საცურაო აუზი გახსნეს, რამაც იმ უბნის პატარები გაახარა. აბა, ასეთ სიხარულზე უარს ვინ იტყვის, მაგრამ რატომღაც არ მახსოვს, რომ იგივე პრეზიდენტს და მერს ჩარხსაშენებელი საწარმო ყასიდად მაინც მოენახულებინათ



**◎ მიველ, ვნახე საწარმო**

## ჩარხების ნაცვლად მღერის შპალერი...

— თქვენც იტყვით, ჟურნალისტები ვართო, — მსაყვედურობს ძველი მეგობარი, — მთელი წელიწადი ისე გაივლის, გაზეთში (ვერც ყვითელში და ვერც მწვანეში) ქარხნისა და ფაბრიკის წკმუტიც არ ისმის. მომწყინდა ამ უქნარა პოლიტიკოსებსა და ჩინოვნიკებზე პრესაში გაუთავებელი ყბედობა-ლაქლაქი, მათს ყარამან ყანთელობაზე ხალხში მოარული ჭორ-მართალი. კარგი, ამ პრეზიდენტსა და ქალაქის მერს არ სცალიათ — ერთთავად გადაფრენ-გადმოფრენაში, ახალი სკვერების, სპორტკომპლექსებისა და შადრევნების გახსნაში არიან, მაგრამ თქვენ რაღა ბუზი შეგიძვრათ, რომ საწარმოში ერთხელაც არ შეიხედავთ?

— რომ იყოს შესახედი, რატომაც არ შევიხედავთ, — შევეცადე თავის მართლებას, — მაგრამ მოქმედი ქარხანა და ფაბრიკა წამლადაც აღარ დარჩა ქვეყანაში და ვის მივაკითხოთ? მიდი აბა, მიუკაკუნე ვისმე და ნახავ რა ოაზისსაც გადაეყრები — ან ნაქარხნალზე ამოსული ჭინჭარი დაგსუსხავს, ან გამოკეტილ კარზე მიბმული შავი ნაგაზი გამოგკრავს კბილს.

— არც მასეა საქმე, როგორც შენ ამტყვერებ, არის ქარხნები, რომლებიც დღევანდელ გაუსაძლის პირობებში მუშაობასაც ახერხებენ და მშვენიერ პროდუქციასაც უშვებენ.

— მაგალითად?

— მაგალითად, თბილისის ჩარხსაშენებელი ქარხანა. ასეთი საწარმო გაგიგია?

— რას ჰქვია გამიგია, იყო დრო, მაგის ეზო ატალახებული მქონდა. ახლა, როგორც ვიცი, სხვებსავით ჩაყვინთულია, ჩარხი კი არა, ჭანჭიკი რომ ჭანჭიკია, იმასაც ველარ აკეთებენ.

— მე კი სულ სხვა ინფორმაცია მაქვს. საწარმოში გამოჩნდა ჭკვიანი, ნოვატორი კაცი, ვინმე მოსიძე, რომელიც თურმე ისეთ ჩარხებს აკეთებს, ავ თვალს არ ენახვება. მიდი, დაელაპარაკე და დაწერე, ამაზე უკეთესს რას გააკეთებ.

მეგობრის ნათქვამი ჭკუაში დამიჯდა, ჩარხმშენებლის ფართო, მოლიავებულ ჭიშკარს მეორე დღესვე მივადექი.

— ბატონი მოსიძე რომელ შენობაშია? — ვეკითხები სიცხისგან გათანგულ სკამზე ნახევრად ჩამოძინებულ კარისკაცს.

— ვინა, ბატონო? — თვალები მოიფშვნიტა.

— მოსიძე, ბატონო, ამ ქარხნის დირექტორია, არ იცნობთ?

— ამ ქარხნის არა, იმას ცალკე საწარმო აქვს. ქუჩაში უნდა გახვიდეთ, ერთ ორას მეტრს რომ გაივლით, მერე იკითხეთ.

ასეც მოვიქეცი, ქუჩას გავუყევი და კითხვა-კითხვით მგონი ადრესატს მივაგენი. „სპეციალური ჩარხებისა და ავტომატური მართვის დანადგარების ქარხანა" — არც თუ მთლად გამოკვეთილად აწერია კედელზე. ნამდვილად ეს იქნება, გავიფიქრე და მჭიდროდ დაგმანულ კარში შესვლა დავაპირე.

— ვინ გნებავთ, ბატონო? — გადამიდგა წინ თალხ სპეცტანსაცმელში გამოწყობილი ქალბატონი.

— მოსიძესთან მივდივარ, ჟურნალისტი გახლავართ, მოვითავებ საქმეს და მალევე გამოვალ.

— მოსიძე არ გახლავთ, ბატონო, — მითხრა ცივნარევი ხმით.

— დავუცდი, ხომ დაბრუნდება?

— არა, არ დაბრუნდება.

— ხვალ?

— არც ხვალ, არც ზეგ, — ხმაში სიმკაცრე დაეტყო, — ისეთი რა აუცილებელი საქმე გაქვთ?

— მაქვს, ქალბატონო, ნამდვილად მაქვს. რედაქციაში სიგნალი შემოვიდა, მოსიძე დიდსა და სასარგებლო საქმეს აკეთებსო. მინდა ვესაუბრო, მისი საქმენი საგმირონი გაზეთში გამოვაქვეყნო და ქვეყანას გავაგებინო.

— და ამაში კაი ბლომად ფული გადაგვახდევინოთ, არა?

— ფული საიდან მოიგონეთ, უბრალოდ, გვინდა მეწარმის შრომა გამოვაჩინოთ. ასეთი თითოოროლა თუ გამოჩნდება ქვეყანაში და ისინიც ჩრდილში რატომ უნდა იყვნენ?

— ვერ გეტყვით, ახლა მოსიძე ჩრდილშია თუ მზის ქვეშ, მაგრამ საწარმოში რომ არ არის, ამას წყალი არ გაუვა, — გადამიწურა წყალი კარისკაცმა ქალბატონმა.

— მაშინ ტელეფონი მაინც მომეცით, დავუკავშირდები და როცა საწარმოში იქნება, მაშინ შევხვდები.

— ვერც ტელეფონს მოგცემთ, ეგ ჩემს ფუნქციაში არ შედის.

— ?!

გასაგებია, გავიფიქრე, იმალებიან, ზემოთ თუ გაიგეს საწარმო მუშაობსო, მაშინვე ცხვირიდან ბოლს გაადენენ — ან რეკეტი დაეცემა თავზე ან „სროკი". ჰოდა შეშინებულ მეწარმეს კიდევ გაზეთში გამოჭენება უნდა?

რაღას ვიზამდი, გამოვბრუნდი, იმ იმედით, რომ მოსიძეს ვერასოდეს შევხვდები.

უკანა გზობაზე სულმა წამძლია და ჩარხმშენებლის მოღიავებულ კარებში ერთხელ კიდევ შევიჭყრიტე. სკამზე მთვლემარე კარისკაცი აღარ ჩანდა (ეტყობა, ოთახში შევიდა და წაუხვრინა). მომენტით ვისარგებლე, ნახევრად ჩამონგრეულ, ფანჯრებჩამსხვრეულ საამქროებს ძირძირ გავუყევი და თავი ადმინისტრაციულ შენობაში ამოვყავი.

ბედი არ გინდა, დირექტორის კაბინეტს კი მივადექი, მაგრამ შიგ შესვლა არც აქ მაცალეს.

— ვერ შეგიშვებთ, — მითხრა კატეგორიულად მდივანმა ქალმა, — დირექტორს თათბირი აქვს.

— დავიცდი, როცა დამთავრდება, მაშინ შევალ.

— ტყუილად დაიცდით, ეგ თათბირი ორ-სამ საათს მაინც გაგრძელდება, მერე კი ბატონი გური სასწრაფოდ სხვაგან მიბრძანდება.

— ტელეფონი მაინც მომეცით.

— რა აზრი აქვს, გადაუხდელობის გამო, თითქმის ყოველთვის გამორთულია (მაშინვე რედაქცია გამახსენდა, ჩვენც ხომ ამ დღეში ვართ!).

— უფულოდა ხართ? — ვითომ გამიკვირდა, — ჩარხებს ხომ უშვებთ?

— ჩარხებს კი არა, სახელი შემოგვრჩა ძველი (სს„ ჩარხმშენებელი"), თორემ რამდენი წელია ჩარხი თვალითაც არ გვინახავს. ვინმე გაფუჭებულ დანადგარს თუ მოიტანს შესაკეთებლად ან რაიმე ნაწილს გამოსაჩარხად, ეგ არის და ეგ.

აქაურ სიტუაციასაც იოლად ავუღე ალღო: მოსიძეს რეკეტისა ეშინია, ჩარხმშენებლის დირექტორს (მამალაძე) კი ჟურნალისტებისთვის საერთოდ სათქმელი არაფერი აქვს. ეს იცის მდივანმა ქალმა და უფროსს აბეზარა „გაზეტჩიკებთან" აუდიენციით არ აწუხებს.

მეც აღარ დავატანე ძალა. ისე კი გზადაგზა მაინც შევიხედე ზოგიერთ ნასაამქრალში, სადაც საქმიან ხალხს რაღაც-რაღაცეები გაუჩალიჩებიათ. ზოგან ლიმონათს ასხამენ, ზოგან ავტომანქანებს არემონტებენ, ერთი მოზრდილი შენობა „დიდუბის სავაჭრო ცენტრის" საწყობადაც გამოუყენებიათ, მეორედან ჩარხების გუგუნის ნაცვლად რაღა დაგიმალოთ და შპალერის ღიღინიც მომესმა...

ამ დღეებში პრეზიდენტმა და ქალაქის მერმა ნაძალადევში დიდი საცურაო აუზი გახსნეს, რამაც იმ უბნის პატარები გაახარა. აბა, ასეთ სიხარულზე უარს ვინ იტყვის, მაგრამ რატომღაც არ მახსოვს, რომ იგივე პრეზიდენტს და მერს ჩარხსაშენებელი საწარმო ყასიდად მაინც მოენახულებინათ. იმ უქნარა კომუნისტებს კი უფრო საწარმოები ჰქონდათ ამოჩემებული, ვიდრე აუზები და შადრევნები. არ იყო კარგი, მაგრამ რას იზამ, ასე ყოფილა, ყველა ხელისუფლებას საკუთარი, გამორჩეული ხელწერა აქვს.

**ოთარ ხუციშვილი**

№ 128. ოთხშაბათი. 4 ივლისი. 2007 წელი.

**◎ არეულ ტალღაზე**

## დიდი თემის ნამცვრევები საგულდაგულო განსჯისთვის

### 5. მამულის სიყვარულს გაკვეთილზე არ სწავლობენ

მადლობა ღმერთს!

სასწავლო წელი დამთავრდა და მოსწავლეები საზაფხულო არდადეგებზე წავიდნენ.

ყველამ დაისვენა.

გაზეთებმა.

ტელეკომპანიებმა.

ნამეტანი ჭკვიანი ბავშვებიც აღარავის მოძღვრავენ ეკრანებიდან.

მზარავდა, ტანზე ბუსუსებს მაყრიდა, როცა ცამეტი, თოთხმეტი წლის გოგო-ბიჭები სხაპასხუპით იმეორებდნენ უფროსების დაწერილ ტექსტებს. პატარებისთვის აშკარად შეუფერებლებს.

ნორჩები ზედმეტი სითამამით ლაპარაკობდნენ მამულის სიყვარულზე, ერთგულებაზე, მაღალი ღირებულებების, იდეალების მარადიულობაზე. თანაც ისე თითქოს ყველაფერი უკვე საკუთარ ტყავზე ჰქონდათ გამოცდილი.

ერთი სიტყვით, ჩვენ გვასწავლიდნენ იმას, რომლამდეც ხუთი-ექვსი წლის შემდეგ სხვებს უნდა მიეყვანათ ხელჩაკიდებულები.

უსათუოდ ხელჩაჭიდებულები.

უპირველესად მშობლებს;

პედაგოგებს.

საზოგადოებას.

უფრო მეტად — საზოგადოებრივ აზრს.

ერთიანს.

მთლიანს.

დღევანდელობისგან სრულიად განსხვავებულს.

მწამს უვიცობას დამაბრალებენ, მაგრამ მაინც უნდა გავახმიანო ნაფიქრი.

უკვე რწმენად ქცეული.

ცამეტი წლის ბიჭისთვის, გინდა გოგონასთვის მამული მხოლოდ თოვლიანი მწვერვალებია, მქუხარე ჩანჩქერები, ლამაზად მოჩითული მინდვრები.

ამ ასაკში ასეა.

დაახლოებით მაინც.

ამ ასაკში თესლი ებარება ნიადაგს. მერე უნდა გაღივდეს და სწორედ მაშინ არის საჭირო ხელშეწყობა, თესლმა რომ ტანი აიყაროს და მრუდედ არ გაიზარდოს.

ჩემსობას გრიგოლ მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" დაახლოებით ამ ასაკის სიახლოვეს ისწავლებოდა.

ერთი ახირებული მასწავლებელი გვყავდა. სულ არ გამოიკითხავდა გაკვეთილს. ორმოცდახუთი წუთი ისე ილაპარაკებდა ხანძთაზე, თითქოს მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება იქ ჰქონდა გატარებული.

ასე აკეთებდა დავით გურამიშვილთანაც.

მირგოროდზე, ზუბოვკაზე ისე ყვებოდა, როგორც მეზობელი სოფლის სანახებზე.

არა მგონია, ახლა ბევრი იყოს ასეთი „თავხედი" მასწავლებელი, უმაღლესი სასწავლებლიდან გუშინ გამოსული.

მიმდინარე რეფორმისაგან ოდნავ განსხვავებულად მოაზროვნე.

მშობლები მით უმეტეს.

რამდენიმე წლის წინათ ძველ სახლში ლტოლვილებმა იყიდეს ბინა. სოხუმიდან თვითონ იყვნენ, თორემ მამისეული სახლები ცოლ-ქმარს სადღაც აბაშასთან ჰქონდათ. ხშირადაც დადიოდნენ საკუთარი ავტომანქანით.

ბიჭი მეათე კლასში სწავლობდა, გოგო — მერვეში. დიდი უცხვირპირო ვინმე იყო. მეზობლებს ხაზგასმულად არ გვესალმებოდა. ბიჭი იყო საურთიერთობოდ დაბადებული.

ცხრასართულიანი სახლის წინ პატარა ტალავერში ძელსკამი იდგა. დაინახავდა ბიჭი სამაასლათოდ შეკრებილ მეზობლებს და თვითონაც იქ გაჩნდებოდა. საუბარში იშვიათად ერეოდა. კითხავდი რამეს და მაშინ ამოიღებდა ხმას.

ერთხელაც მარტონი დავრჩით.

გამიწყრა ღმერთი.

შემატოვა ეშმაკს ეულად.

ბიჭს თავიანთ მოგზაურობებზე ვკითხე. გზაში თუ ჩერდებით, სადმე რამის სანახავად თუ გადაუხვევთ-მეთქი.

ბიჭს ფერი ეცვალა. პასუხიც არ გამცა. არ მოვეშვი.

გელათზე, ბაგრატის ტაძარზე სმენოდა რაღაც.

უბისა გაგონილი არ ჰქონდა.

ეს მაშინ, როცა თვეში ერთხელ მაინც ჩაუვლიდა გვერდით.

სულ ას მეტრში.

კიდევ უარესი:

რუსთაველზე მცხოვრები მეათეკლასელი გოგონა გაოცებული იყო, თუ რატომ უნდა ასულიყო მამადავითზე ვიღაცეების საფლავის ქვების სანახავად.

მთაწმინდის პანთეონში დავანებულები მისთვის „ვიღაცეები" იყვნენ, პანთეონი კიდევ სასაფლაო, სადაც ამქვეყნიურობას გარიდებულნი განისვენებენ.

სკოლას არაფერი მიუცია მისთვის, ან თვითონ არ მიულია შეგნებულად.

მამულის სიყვარულს გაკვეთილებზე მაინც არ სწავლობენ.

ჩანს, ზოგიერთ მშობელს არც ახსოვს ამგვარი რამ.

მამისთვის მამული ან ღვინით სავსე ყანწია, ანაც ფულის საკეთებელი მოედანი.

დედისთვის კიდევ ვინ იცის რა.

იმ გოგონასა და ბიჭისთვის არავის ეცალა.

არც მე.

არც შენ.

არც არავის — მასწავლებლის გარდა.

ისიც მხოლოდ ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში.

**რობერტ ძერია.**

● არასასურველია მზის აბაზანების მიღება შუადღისას; მათი სარგებლიანობა მაქსიმალურია დილის 10 საათამდე, როდესაც მზე იმყოფება მახვილი კუთხით ჰორიზონტთან მიმართებაში და მისი სხივები, შესაბამისად, არ ეცემა შვეულად. 11-დან 16 საათამდე – ე. წ. „სიესტაა", მზეზე უმჯობესია საერთოდ არ გამოჩნდეთ. „გარუჯვისათვის" შეიძლება ისარგებლოთ, აგრეთვე, დაისით (მზის ჩასვლის წინა პერიოდით), მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ საღამოს სითბოს მომტანი ინფრაწითელი სხივები აძლიერებენ ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებას



№ 128. ოთხშაბათი. 4 ივლისი. 2007 წელი.

## ◎ ჯანმრთელობა

**ზაფხული თანდათან ძალაში შედის. დაცხა, ბევრი ცდილობს, რომ გამონახოს თავისუფალი დრო, ბუნებაში გავიდეს, დატკბეს მისი სილამაზით, გაიკაჟოს ჯანმრთელობა და მზის სხივებქვეშ ინებივროს.**

**ამჟამად, შედარებით ცხელი ზაფხულის (როგორც სპეციალისტები გვაფრთხილებენ) და მასთან დაკავშირებული ზღვის სეზონის მოლოდინში უპრიანი იქნება მოსახლეობის ყურადღება შევაჩეროთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც მზის რადიაცია და, კერძოდ, ულტრაიისფერი სხივების ორგანიზმზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებაა.**

**იმის შესახებ, თუ რა საფრთხეს გვიქმნის მზის სხივები და როგორ დავიცვათ თავი მისი მავნე ზემოქმედებისაგან, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა სამხედრო-სამედიცინო აკადემიის პრეზიდენტს, ანდრო ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის წამყვან სპეციალისტს, სახელმწიფო და ივანე ბერიტაშვილის პრემიების ლაურეატს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ირაკლი ნადირაძეს.**

# მზე – მტერიც, მოყვარეც

**– ბატონო ირაკლი, რა საფრთხეს გვიქმნის მზის სხივები?**

– მზის აბაზანების შესაძლო ნეგატიურ შედეგებზე ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში არაფერი ვიცოდით და ლამის დამწვრობამდე „ვირუჯებოდით". მხოლოდ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში გამოქვეყნდა პირველი პუბლიკაციები მზის ქვეშ შედარებით დიდი ხნით ყოფნის სიავეზე, კანის სხვადასხვა დაავადებების (მათ შორის ავთვისებიანი სიმსივნეების) განვითარების საშიშროებაზე და შესაბამისი დაცვის საშუალებების გამოყენების აუცილებლობაზე. კმაყოფილების გრძნობას იწვევს ის ფაქტი, რომ მოდა ე.წ. „შოკოლადისმიერ გარუჯვაზე" თანდათან უთმობს ადგილს საღ აზროვნებას, და ადამიანები სულ უფრო ფიქრობენ იმაზე, რომ ჯანმრთელობა მაინც პირველმნიშვნელოვანი და პირველხარისხოვანია საეჭვო „გალამაზებასთან" შედარებით...

UVA – სხივები (A სხივები) – შეაღწევენ კანში პრაქტიკულად მთელ მის სისქეზე, ამცირებენ მის ელასტიურობას, დრეკადობას და ამით იწვევენ ნაადრევ დაბერებას, ე. ი. აჩქარებენ ნაოჭების, პიგმენტური ლაქებისა და ჭორფლების წარმოქმნას, განსაკუთრებით, ქერათმიანებში. მათი მაღალი აქტივობა პროვოცირებს კანის ავთვისებიანი სიმსივნეების აღმოცენებას.

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მზე გამოასხივებს 3 სახეობის ულტრაიისფერ სხივებს.

UVB – სხივები (B სხივები) – მათი მეშვეობით ჩვენ „ვირუჯებით". ისინი იწვევენ დამწვრობებს; პოტენციურად შეიძლება გახდნენ კანის ავთვისებიანი სიმსივნის უშუალო მიზეზი;

UVC – სხივები (C სხივები) ყველაზე მავნე სხივებია. ატმოსფეროს ოზონის შრე, რომლითაც გარშემორტყმულია დედამიწა, შთანთქავს მათ და ამით იცავს სიცოცხლეს ჩვენს პლანეტაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულების მანძილზე მისი ეს ფუნქცია გაცილებით შესუსტდა.

ამრიგად, ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედების შედეგად წარმოიქმნება ე. წ. „თავისუფალი რადიკალები", რომლებიც აზიანებენ კანს, იწვევენ ქსოვილების გამოშრობასა და გაუხეშებას, დამწვრობას, იმუნიტეტის დაქვეითებას და ყველაზე ცუდ შემთხვევაში – ავთვისებიანი სიმსივნეების აღმოცენებას. როგორც წესი, იმას, ვისაც უყვარს „გარუჯვა" და სპეციალურად საათობით იმყოფება მზის ქვეშ, მისი კანი ყოველთვის გაუწყლოებულია (გამომშრალი), გათხელებულია და მიდრეკილია გაღიზიანებასა და აქერცვლისაკენ.

**– ესე იგი, უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ნაკლებ ხანს ვიყოთ მზეზე?**

– მთლიანობაში ამ შეკითხვაზე არსებობს, ჩვენი აზრით, მხოლოდ დადებითი პასუხი, მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, სიცოცხლე მზის გარეშე ცალსახად წარმოუდგენელია. ცნობილია, რომ მზის სინათლის გარეშე ხშირია ფსიქიკური დარღვევები – თავს იჩენს დეპრესია, უხასიათობა, სულმძიმობა: ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით კანში ხორციელდება D ვიტამინის სინთეზი, რომელიც „პასუხისმგებელია" ძვლების, კბილებისა და სხვა ორგანოების ნორმალურ განვითარებაზე. ოპტიმალური გამოსავალი, ალბათ, ის არის, რომ ვისწავლოთ თავის დაცვა მზის ულტრაიისფერი გამოსხივების გადამეტებული დოზებისაგან.

**– რა საშუალებები გამოვიყენოთ ულტრაიისფერი სხივებისაგან დასაცავად?**

– ცხოვრების 2/3 ჩვენ ვატარებთ მზის სხივების შემთხვევითი ზემოქმედების ქვეშ, მათი 80 პროცენტი „გვეკონტაქტება" მოღრუბლულ ამინდშიც, ნაწილისთვის კი ჩვეულებრივი შუშაც არ წარმოადგენს დაბრკოლებას. ამიტომ დამცველი კოსმეტიკის გარეშე დასვენება ზღვის პირობებში არამცთუ ძალზე არასასურველი, არამედ დაუშვებელია. ლოსიონებისა და კრემების სარგებლიანობის გარდა, უნდა გვახსოვდეს ტანსაცმლის დაცვითი თვისებების შესახებაც: ატარეთ ღია ფერის ბამბეული, რომელიც კარგად ირეკლავს მზის სხივებს, ფართოფარფლებიანი ქუდები, კეპები, ისარგებლეთ მზის ქოლგებით (მით უმეტეს, რომ ეს აქსესუარი ისევ მოდაშია).

**– რამდენი ხნის განმავლობაში უნდა ვიმყოფებოდეთ მზეზე იმისათვის, რომ მივიღოთ ზომიერი, თანაბარი, ლამაზი „გარუჯვა"?**

– ეჭვს არ იწვევს „გარუჯული" კანის მიმზიდველობა. მაგრამ იმისათვის, რომ მან მიიღოს ნაზი, ჯანმრთელი ელფერი, თავიდან მზის აბაზანები შეზღუდეთ მხოლოდ რამდენიმე წუთით.



მზეზე ყოფნის ხანგრძლივობა დამოკიდებულია კანის ტიპზე. თუ ეგრეთ წოდებული „კელტური" ტიპის კანისათვის, რომელიც ხასიათდება ძალზე ღია ფერით, ხშირად ჭორფლებით (რასაც თან ახლავს მოჟღალო ან ქერა თმა და ღია ცისფერი ან მწვანე ფერის თვალები) ძალზე სწრაფად ლებულობს დამწვრობასა და ფაქტობრივად არ „ირუჯება" შუაევროპული (მოშავგრემანო, დამწვრობა შესაძლებელია მხოლოდ ინტენსიური დასხივებისას, კარგად „ირუჯება"; თან ახლავს ქერა ან წაბლისფერი თმა და თაფლისფერი თვალები) და სამხრეთევროპული (შავგრემანი, წამწვრობა იშვიათია, „ირუჯება"; ადვილად და ინტენსიურად; თან ახლავს წაბლისფერი ან შავი თმა და შავი თვალები) ტიპებისათვის ეს ვადა შეიძლება გაიზარდოს 5-12 წუთამდე და ყოველდღიურად მას მიემატოს 15-20 წუთი.

მიიღეთ მხედველობაში, რომ „გარუჯვა" ხდება მკრთალ, მსუბუქ ჩრდილშიც. არასასურველია მზის აბაზანების მიღება შუადღისას; მათი სარგებლიანობა მაქსიმალურია დილის 10 საათამდე, როდესაც მზე იმყოფება მახვილი კუთხით ჰორიზონტთან მიმართებაში და მისი სხივები, შესაბამისად, არ ეცემა შვეულად. 11-დან 16 საათამდე – ე. წ. „სიესტაა", მზეზე უმჯობესია საერთოდ არ გამოჩნდეთ. „გარუჯვისათვის" შეიძლება ისარგებლოთ, აგრეთვე, დაისით (მზის ჩასვლის წინა პერიოდით), მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ საღამოს სითბოს მომტანი ინფრაწითელი სხივები აძლიერებენ ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებას.

**– რამდენად საჭიროა ზაფხულში მუქი სათვალის ტარება?**

– მზის ინსოლაცია უარყოფითად მოქმედებს არა მხოლოდ კანზე, არამედ თვალებზეც. აგრესიული ულტრაიისფერი გამოსხივება აზიანებს როგორც რქოვანას, ასევე თვალის ბროლსა და ბადურას. მზის საწინააღმდეგო სათვალის ტარება აუცილებელია! მაღალი ხარისხის სათვალის შუშები აღჭურვილია დაცვითი ფენილით, ჩარჩო კი ისეთი ფორმისაა, რომ თვალები დაცულია გვერდებიდანაც. დამატებითი პლუსია – ნაკლები ნაოჭი თვალების ირგვლივ, რადგან არ გვიხდება მათი მოჭუტვა.

**– საჭიროებს თუ არა კანი დაცვას ზღვაში ბანაობის დროს?**

– წყალში მზის დამწვრობის საშიშროება მკვეთრად მატულობს. წყლის წვეთები ათასობით ლინზების მსგავსად, აძლიერებენ მზის სხივების ენერგიას. ამიტომ ბანაობის წინ ისარგებლეთ სპეციალური წყალგანმზიდავი მზის საწინააღმდეგო საშუალებებით.

**– კიდევ რა მოვიმოქმედოთ კანის ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად?**

– დაატენიანეთ (დაარბილეთ) იგი კრემებით, რომლებიც შეიცავენ A, E, და C ვიტამინებს („ანტიოქსიდანტებს"). ეს ნივთიერებები ანეიტრალებენ ე.წ. „თავისუფალი რადიკალების" მავნე მოქმედებას და გვინარჩუნებენ კანის სიქორფესა და დრეკადობას. კვების რაციონი ასევე მაქსიმალურად უნდა შეიცავდეს ამ ვიტამინებით მდიდარ პროდუქტებს (ძირითადად, ბოსტნეულსა და ხილს). ეცადეთ მნიშვნელოვნად შეამციროთ თამბაქოს მოხმარება, რადგან მოწევის დროს იშლება ვიტამინი C, რაც იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას.

**– როგორ მოვიქცეთ მზის დამწვრობის შემთხვევაში?**

– თუ კანი მხოლოდ გაწითლდა, მდგომარეობა შეიძლება გამოსწორდეს შინაური საშუალებებითაც. ამისათვის საჭიროა მაცივრიდან გამოღებული ცივი არაჟნის ან მაწვნის კომპრესების გამოყენება; ეს პროდუქტები კანზე უნდა წაისვათ, და არ შეიზილოთ მასში. ძლიერი დამწვრობის დროს (ბუშტუკები, შეშუპება, მაღალი ტემპერატურა), უმჯობესია მიმართოთ ექიმს; ნუ შეუდგებით თვითმკურნალობას, კერძოდ, ბუშტუკების დახეთქვას, რადგან ასეთ სიტუაციაში ინფექციისა და სხვა გართულებების განვითარების ალბათობა ძალზე მაღალია. საერთოდ კი გირჩევთ, არ მიიყვანოთ საქმე მზის დამწვრობამდე, რამეთუ ყოველი ნეგატიური ზემოქმედება ტოვებს ხოლმე წარუშლელ კვალს და შეიძლება გახდეს კანის სერიოზული დაავადებების მიზეზი ავთვისებიანი სიმსივნეების ჩათვლით.

***– გთავაზობთ, მოსახლეობისთვის საგანგებოდ შედგენილ ინსტრუქციას:***

### მზის დაკვრა ვითარდება

- ცხელ ამინდში დაუსვენებლად ხანგრძლივი სიარულისას;
- მზის აბაზანების ხანგრძლივი მიღებისას;
- ზოგადად, როცა სხეული, განსაკუთრებით კი თავი, დაცული არ არის მზის სხივების ზემოქმედებისაგან.

### მზის დაკვრისას აღინიშნება

- ზოგადი სისუსტე, თავის ტკივილი, ყურებში შუილი, თავბრუსხვევა, გულისრევა (მსუბუქი ფორმა);
- ცხვირიდან სისხლდენა, არტერიული წნევის დაქვეითება, სხეულის ტემპერატურის მატება 38-40°C-მდე, კრუნჩხვები, ცნობიერების დაკარგვა (მძიმე ფორმა).

### პირველი დახმარება

- *დაზარალებული გადაიყვანეთ გრილ ადგილას;*
- *თავზე დაადეთ ყინული ან ცივი საფენები;*
- *თუ დაზარალებული გონზეა, დაალევინეთ ცივი წყალი;*
- *სუნთქვის შეწყვეტისას დაუყოვნებლივ მიმართეთ ხელოვნურ სუნთქვას:*
- *დაშავებულს გაუთავისუფლეთ ზედა სასუნთქი გზები;*
- *თუ დაშავებული მაინც არ სუნთქავს,*

*1. ცერისა და საჩვენებელი თითების დაჭერით დაახშეთ დაშავებულის ცხვირის ნესტოები;*

*2. შეასრულეთ ხელოვნური სუნთქვის ორი სრული მოძრაობა (ჩაბერვა პირით პირში), თითოეულის ხანგრძლივობა – 2 წამამდე.*

- *დააკვირდით დაზარალებულის მკერდს – აიწია თუ არა;*
- *შეამოწმეთ პულსი;*
- *თუ პულსი ისინჯება, მაგრამ დაზარალებული არ სუნთქავს, განაგრძეთ ხელოვნური სუნთქვა.*
- *სუნთქვის აღდგენისთანავე დაზარალებული გადაიყვანეთ საავადმყოფოში.*

## ჯანსაღი და დღეგრძელი ცხოვრების 10 ცნება

- *უპირატესობა მიანიჭეთ ცილოვან საკვებს, რადგან ცილა სიცოცხლის წყარო, უჯრედებისა და ქსოვილების აღმდგენი და ორგანული პროცესების რეგენერატორია.*
- *ერიდეთ ნახშირწყლებსა და ცხიმებს – ისინი ამცირებენ სიცოცხლის ხანგრძლივობას. გართმევენ ენერგიას და სიცოცხლის უნარს.*
- *უზომოდ ნუ მოსწევთ თამბაქოს და ნურც ალკოჰოლურ სასმელებს მიიღებთ დიდი რაოდენობით.*
- *აქტიურად მისდიეთ სპორტის რომელიმე სახეობას. ნუ გამოტოვებთ კვირის ნურც ერთ დღეს ფიზიკური აქტიურობის გარეშე.*
- *ივარჯიშეთ და გაიძლიერეთ ფილტვები, რათა სისხლი ბუნებრივი ელექსირით – ჟანგბადით გაიწმინდოს.*
- *დაიმორჩილეთ და დაამარცხეთ ნერვიულობა, სხეულისა და გონების უპირველესი მტერი.*
- *წელიწადში ორჯერ გაიარეთ კონსულტაცია თქვენს თერაპევტთან და სტომატოლოგთან და ყურად იღეთ მათი ყოველი რჩევა.*
- *მიიღეთ ვიტამინები საკვების ან აბების სახით – მათში სიცოცხლის ნაპერწკალია.*
- *მიეცით საშუალება საკუთარ სხეულს, ძილის დროს ისე დაისვენეთ, რომ დღის განმავლობაში მიღებული სტრესები და დაძაბულობა მოეხსნას.*
- *ყოველდღიური საქმიანობისას, მუშაობა იქნება ეს, ჭამა-სმა თუ გართობა, ზღვარს ნუ გადახვალთ.*

*გვერდი მოამზადა ბელა დურგლიშვილმა*

**ბოლო დროს ვანო მჭედლიშვილის მემკვიდრეებმა წამოატივტივეს ზოგიერთ ხალხურად წოდებულ ცნობილ ნაწარმოებზე ავტორობის პრეტენზია მორალური (სახელის) უფლების სახით**



ივანე მჭედლიშვილი

## ძმნა მართლისა, სამართლისა...

ქართული ხალხური სიმღერის ამაგდარ ადამიანთა შორის სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა ვანო მჭედლიშვილის სახელი. ამ სახელს უკავშირდება ბევრი, თითქმის მივიწყებულ-დაკარგული სიმღერის ხელახალი აღმოჩენა, გადამუშავება, საგუნდოდ გამართვა და მისი თანამედროვე პროფესიული თუ თვითმოქმედი საგუნდო კოლექტივების რეპერტუარში დამკვიდრება.

მაგრამ, ბოლო დროს, ვანო მჭედლიშვილის მემკვიდრე-ახლობელთა მიერ წამოჭრილი საავტორო პრეტენზიების გამო, ამ თვითნაბადი ტალანტის შემოქმედებითი ნაყოფი — მის მიერ დამუშავებული თუ, სულაც, საკუთარი სიმღერების ნუსხა მეტ დაზუსტებას, შესწავლას და ახალ ინტერპრეტაციას მოითხოვს.

ამ მიზნით, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ვიწყებთ ვანო მჭედლიშვილის ნაღვაწის საჯარო განხილვა-შეფასებას, რასაც, იმედია, ჩვენი საზოგადოება, ფოლკლორის სპეციალისტები და მომღერლის კოლეგები აქტიურად გამოეხმაურებიან.

დღეს გთავაზობთ საუბარს ცნობილ ჟურნალისტთან და მომღერალთან, საქართველოს დამსახურებულ არტისტთან, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ჟურნალ „მუსიკალური საქართველოს" რედაქტორთან **ომარ ჩიტაიასთან.**

# როცა დიდი მემკვიდრეობა ექვს იწვევს...

**— ბატონო ომარ, სამწუხაროდ, ვანო მჭედლიშვილის ღვაწლი ქართული კულტურის, კერძოდ, ქართული ფოლკლორის წინაშე ნაკლებადაა ცნობილი დღევანდელი ფართო საზოგადოებისთვის, მეტადრე, ახალგაზრდებისთვის, ჰოდა, იქნებ, თავიდან ამ ღვაწლზე ვისაუბროთ...**

— უნდა ითქვას, რომ დღეს არსებული ვერც ერთი ხალხური სიმღერის კოლექტივი (პროფესიული თუ თვითმოქმედი) გვერდს ვერ აუვლის სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ვანო მჭედლიშვილის შემოქმედებას — ხალხში მიმოფანტული, თითქმის დავიწყებული და დაკარგვის პირას მისული ხალხური სიმღერების (ან ფრაგმენტების) მოძიებას, დამუშავებას, გუნდებისთვის გამართვას და მათს დამკვიდრებას პროფესიული თუ თვითმოქმედი კოლექტივების რეპერტუარში.

და თუ დღეს მსოფლიო ტაშს უკრავს ქართულ ხალხურ სიმღერებს, როგორც ვოკალური კულტურის ფენომენს, ეს სანდრო კავსაძესთან და მიხეილ ჯილაურთან, ძუკუ ლოლუასთან და კირილე პაჭკორიასთან, ვარლამ სიმონიშვილთან და არტემ ერქომაიშვილთან... ერთად, ვანო მჭედლიშვილის დამსახურებაც არის.

აი, რას წერს ამის შესახებ ცნობილი კომპოზიტორი და ლოტბარი **გრიგოლ კოკელაძე:**

„დაუვიწყარია ხალხის წიაღიდან პირველად მის მიერ ფართო ასპარეზზე გამოტანილი „დიამბეგო", „კალოსპირული", „წინწყარო", „ალილო" და მრავალი სხვა სიმღერა, რომელთაც საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს ხალხური გუნდების რეპერტუარში. აქვეა აღსანიშნავი თანდაყოლილი და გუნდებთან მუშაობაში გამჟღავნებული მისი დიდი პედაგოგიური ნიჭი. აქ უნდა ვეძებოთ მიზეზი იმისა, რომ ვანო მჭედლიშვილის მიერ დამუშავებულ სიმღერებს მსმენელი მუდამ სულგანაბული უსმენს და იხიბლება".

ახლა ბატონ **ანზორ ერქომაიშვილს** მოვუსმინოთ:

„აღსანიშნავია ვანოს, როგორც სიმღერის შემკრებისა და აღმდგენელის მოღვაწეობა. მას ფეხით აქვს მოვლილი ქართლ-კახეთის სოფლები, არ დატოვა არც ერთი სიმღერის მცოდნე, რომლისგანაც სიმღერები არ შეეწავლოს. აღსანიშნავია, რომ ვანოს პროფესიულ-მუსიკალური განათლება არ ჰქონია მიღებული, ამიტომ მას ზეპირად უხდებოდა სიმღერის შესწავლა და ასევე ზეპირად გადასცემდა სხვას. ამ წესით მან აღადგინა და დაკარგვას გადაარჩინა ბევრი ქართლ-კახური სიმღერა და სიმღერის ვარიანტი".

**— მაგრამ, ბატონო ომარ, ამ ბოლო დროს, ვანო მჭედლიშვილის ნათესავებმა საჯაროდ წამოაყენეს პრეტენზია არა მარტო დამუშავებაზე, არამედ ზოგიერთი სიმღერის ავტორობაზეც, რამაც საზოგადოებაში (და სპეციალისტებში) გაუგებრობა და გარკვეული გაღიზიანებაც კი გამოიწვია...**

— ამ სადავო საკითხში გასარკვევად ვანო მჭედლიშვილის მემკვიდრეებმა მეც (როგორც ხალხურ სიმღერებში გარკვეულ ჟურნალისტს) მომმართეს და პრეტენზიების შესაბამისი დოკუმენტაციაც წარმომიდგინეს საოჯახო არქივიდან.

ჟურნალისტური ძიება დავიწყე იმით, რომ გავეცანი მხატვრული და ლიტერატურული ნაწარმოების დაცვის შესახებ ბერნის საერთაშორისო კონვენციის დებულებებს (რომელიც მიღებულია საერთაშორისო პრაქტიკაში 1886 წლიდან და რომელსაც საქართველო შეუერთდა გასული საუკუნის სამოციან წლებში).

ამ კონვენციის საფუძველზე საქართველოს კოლექტიური მართვის საზოგადოება (ავტორთა ქონებრივი უფლებების მმართველი ორგანიზაცია) აწევრიანებს საავტორო ნაწარმოებთა ავტორებსა და მათს მემკვიდრეებს და უგროვებს მათ კანონიერ საავტორო კუთვნილ გასამრჯელოს — ჰონორარს.

ბერნის კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად:

„გადამუშავებული ნაწარმოების ავტორსაც ეკუთვნის საავტორო უფლება მის მიერ განხორციელებულ გადამუშავებაზე".

რადგან ვანო მჭედლიშვილის თანამედროვენი, კოლეგა-მომღერლები, ფოლკლორის სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ მის დიდ დამსახურებას ბევრი ხალხური სიმღერის გამართვა-გადამუშავებაში, თავისთავად და მარტივად წყდება ბერნის კონვენციის მიხედვით, რომ ვანო მჭედლიშვილის (როგორც მრავალი სიმღერის გადამუშავების ავტორის) მემკვიდრეებს ეკუთვნით სათანადო ჰონორარი, მაგრამ ამ თითქოსდა იურიდიულად გარკვეულ საქმეში, ვფიქრობთ, გაუგებრობა და გაღიზიანება წარმოშვა „საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის — „საქპატენტის" მიერ 2006 წლის 20 იანვარს გაცემულმა მოწმობამ (№1733), რომელშიც ვანო მჭედლიშვილი მითითებულია, როგორც ქვემოთ ჩამოთვლილი სიმღერების „ავტორი".



საქართველო
ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი"
მოწმობა
N 1733
ავტორი:
ვანო მჭედლიშვილი
ნაწარმოები:
რეგისტრირებულია:
დავით გაბუნია
გენერალური დირექტორი
თბილისი

ავტორობა კი უფრო სერიოზული საკითხია და ამ მხრივ ჩემი კომპეტენცია საკმარისი არ არის, რადგან პირადად არ ვიცნობდი ბატონ ვანო მჭედლიშვილსა და მის (როგორც სიმღერების ავტორის) შემოქმედებას.

**— ხომ არ გაქვთ თან, ბატონო ომარ, „საქპატენტის" მიერ გაცემული მოწმობის ასლი?**

— კი ბატონო, ინებეთ...

**— ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორ გაჩნდა „საქპატენტის" ეს მოწმობა, სადაც 30 ხალხური სიმღერის ავტორად (და არა გადამმუშავებლად) დასახელებულია ვანო მჭედლიშვილი?..**

— როგორც „საქპატენტში" გვიპასუხეს, მათ გასცეს მოწმობა მჭედლიშვილის მემკვიდრეების მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების საფუძველზე, რომ სხვაგვარი ჩაძიებისა და გადამოწმების უფლება მას არცა აქვს, რასაც, სხვათა შორის, საქართველოს ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარე **ელგუჯა შაფათავაც** ადასტურებს. აი, ნახეთ:

„საქპატენტის" მოვალეობაა, — წერს ელგუჯა შაფათავა, — ავტორთა ან მემკვიდრეთა განცხადება გაატაროს რეგისტრაციაში და მიიღოს ისინი დეპონირებაში (დოკუმენტებთან ერთად). კანონის თანახმად, ავტორთა ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს, უფლება აქვს ნაწარმოების ორიგინალის ან ახლის დეპონირება (შენახვა და რეგისტრაცია) განახორციელოს „საქპატენტში" და დეპონირების შედეგად „საქპატენტის" მიერ გაცემული მოწმობა ადასტურებს მხოლოდ ნაწარმოების დეპონირების (შენახვის და რეგისტრაციის) ფაქტს და არ წარმოშობს საავტორო უფლებებს. დეპონირება შესანახად მასალების გადაცემაა და მის სიზუსტესა და უტყუარობაზე „საქპატენტი" პასუხს არ აგებს. პასუხისმგებელი მთლიანად არის განცხადებისა და დოკუმენტების წარმდგენი ავტორი (ან მემკვიდრე).

**ბოლო დროს ვანო მჭედლიშვილის მემკვიდრეებმა წამოატივტივეს ზოგიერთ ხალხურად წოდებულ ცნობილ ნაწარმოებზე ავტორობის პრეტენზია მორალური (სახელის) უფლების სახით. მათ წარუდგინეს „საქპატენტს" განცხადება და დოკუმენტაცია — კასეტები და ფირფიტები სიმღერათა ჩანაწერებით, დეპონირებისა და რეგისტრაციისათვის, რაც „საქპატენტმა" განახორციელა და გასცა სათანადო მოწმობა განცხადების საფუძველზე. ეს მოწმობა კი არ ნიშნავს მტკიცებას, რომ ვანო მჭედლიშვილია განცხადებაში აღნიშნული სიმღერების ავტორი.**

იხ. 14 გვ.

## ინფორმაცია

### დაუჯერებენ ლინდენს ცხინვალში?!

7 ივლისს ევროპის საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე რენე ვან დერ ლინდენი ცხინვალის რეგიონს ეწვევა.

ვან დერ ლინდენი შეხვედრებს გამართავს სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებთან. იგეგმება შეხვედრა დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელ დიმიტრი სანაკოევთან და ადმინისტრაციის სხვა მაღალჩინოსნებთან. საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების აუცილებლობაზე ისაუბრებს.

### სოზარ სუბარი ადანაშაულებს...

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბადრი ბიწაძეს რეკომენდაციით მიმართავს, რათა ხელახლა შეისწავლოს მოქალაქე შაქრო კობაიძის სასაზღვრო პოლიციაში დასაქმების საკითხი და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, დააყენოს იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც კანონი არასათანადოდ განმარტეს.

სოზარ სუბარი მიიჩნევს, რომ კობაიძისთვის სამსახურში მიღებაზე უარის თქმა უკანონო და დისკრიმინაციული იყო, ვინაიდან მას საფუძვლად მოქალაქის ნასამართლობა დაედო.

ᲮᲘ-ᲔᲘᲩ-ᲔᲜᲘ

### ქართველების იდენტიფიკაცია სასაზღვრო პოლიციაში

ავსტრიიდან დეპორტირებული ქართველების იდენტიფიკაცია სასაზღვრო პოლიციაში დასრულდა.

როგორც ინტერპრესნიუსს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცნობეს, გუშინ დილით ავსტრიიდან ჩარტერული რეისით საქართველოს 15 მოქალაქის ექსტრადიცია განხორციელდა. ავსტრიის ხელისუფლებამ მათი დეპორტაცია სავიზო რეჟიმის დარღვევისა და ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონოდ ყოფნის გამო განახორციელა.

ინტერპრესნიუსი

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია 2007 წლის 25 ივლისს დღის 12 საათზე ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის შენობაში (მის. ქუთაისი, რუსთაველის 1) ს/ს „ივერია-2005"-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს ღია აუქციონს.

ს/ს „ივერია-2005"-ს ქონება მდებარეობს ქუთაისში, მშენებლის ქუჩა №2-ში.

სარეალიზაციოდ გამოტანილი ს/ს „ივერია-2005"-ს უძრავ-მოძრავი ქონება.

| № | ქონების დასახელება | | ქონების ზომის ერთეული და რაოდენობა | ქონების საწყისი ფასი ლარებში (შეფასებულია აუდიტის, ექსპერტის მიერ) | ქონების მოკლე აღწერა |
|---|---|---|---|---|---|
| | შენობა-ნაგებობები | | | | |
| 1 | კლუბი-სასადილო | | ც-1 | 67000 | სახურავი და კარ-ფანჯ. დაზიანებული, შიგა მოპირ.ამორტ. |
| 2 | საწ.კორპუსი | ზამბარების უბანი 2160კვ.მ. | ც-1 | 25920 | სახურავი დაზიანებული, მინები ნაწილობრივ ჩამტვრეული |
| 3 | | ლეიბების უბანი 2376კვ.მ. | ც-1 | 28512 | |
| 4 | | საწყობი I სართული 1251კვ.მ. | ც-1 | 16393 | |
| 5 | | საწყობი II სართული 1512კვ.მ. | ც-1 | 27658 | |
| 6 | | აწყობის უბანი 3105კვ.მ. | ც-1 | 37260 | |
| | | სულ საწ.კორპუსი | | 135743 | |
| 7 | ქიმ.მასალათა საწყობი | | ც-1 | 668 | ერთსართულიანი რკინა-ბეტონის ნაგებობა |
| 8 | წყალკანალიზაციის ქსელი | | ც-1 | 400 | ნაწილობრივ დაზიანებულია |
| 9 | რესტავრაცია | | ც-1 | 1600 | ნაწილობრივ დაზიანებულია |
| | დაზგა-დანადგარები | | | | |
| 1 | ორკ.ზამბ. FIIO/SW | | ც-1 | 5000 | ნახმარია, მუშა მდგომარეობაში |
| 2 | ბლოკის ამკრები AH-115 | | ც-3 | 3900 | ნახმარია, მუშა მდგომარეობაში |
| 3 | რკინის მოსალუნი | | ც-1 | 800 | ნახმარია, მუშა მდგომარეობაში |
| 4 | ფენის საკერავი | | ც-1 | 1600 | ნაწილობრივ დაზიანებულია |
| 5 | მატრასის ტესმის შეს. | | ც-1 | 550 | ნახმარია, მუშა მდგომარეობაში |
| 6 | ვატინის საჭრელი PA | | ც-1 | 300 | ნახმარია, მუშა მდგომარეობაში |
| 7 | პარალონის დასაჭ.მაგ. | | ც-1 | 50 | ნახმარია, მუშა მდგომარეობაში |
| 8 | ქსოვილის დასაჭ.მაგ. | | ც-1 | 60 | ნახმარია, მუშა მდგომარეობაში |
| 9 | ქსოვილის გად.წნეხი | | ც-1 | 140 | ნახმარია, მუშა მდგომარეობაში |
| 10 | საკერავი მანქანა | | ც-1 | 80 | ნაწილობრივ დაშლილი, უვარგისი |
| 11 | საკერავი მანქანა | | ც-2 | 80 | ნაწილობრივ დაზიანებულია |
| 12 | საკერავი მანქანა | | ც-2 | 80 | ნაწილობრივ დაზიანებულია |
| 13 | მეტ.სახ.ჩარხი | | ც-1 | 500 | ნახმარია, მუშა მდგომარეობაში |
| 14 | ვერტ.საბურღი 2H-115 | | ც-1 | 100 | ნახმარია, მუშა მდგომარეობაში |
| 15 | სარელსო ურიკა | | ც-1 | 30 | ნახმარია, ნაწილ.კოროზირებული |
| 16 | ვენტილიატორი | | ც-1 | 50 | ნახმარია, ძრავი არ მუშაობს |
| 17 | კომპრესორი | | ც-1 | 600 | ნახმარია, მუშა მდგომარეობაში |
| 18 | ელ.ძრავი | | ც-1 | 160 | ნახმარია, მუშა მდგომარეობაში |
| 19 | მრგვალად სახეხი ჩარხი | | ც-1 | 300 | საჭირ.კაპ.შეკეთებას, არ მუშაობს |
| 20 | საშალაშინო ჩარხი | | ც-1 | 300 | საჭირ.კაპ.შეკეთებას, არ მუშაობს |
| 21 | სახეხი ჩარხი | | ც-1 | 200 | ნახმარია, მუშა მდგომარეობაში |
| 22 | საპრიალებელი ჩარხი | | ც-1 | 250 | ნახმარია, მუშა მდგომარეობაში |
| 23 | ცისტერნა | | ც-1 | 200 | ნაწილობრივ კოროზირებულია |
| 24 | სკობის დასამაგრებელი | | ც-1 | 700 | ნახმარია, მუშა მდგომარეობაში |
| 25 | საფრეზი ჩარხი | | ც-1 | 300 | ამორტიზირ. მუშა მდგომარეობაში |
| 26 | მაცივარი-კამერა | | ც-1 | 300 | საჯართე |
| 27 | მაცივარი-კამერა | | ც-1 | 250 | საჯართე |
| 28 | სეიფი | | ც-1 | 150 | ნახმარია, ვარგისია ექსპლუატაც. |
| 29 | სალარო აპარატი | | ც-1 | 300 | ნახმარია, მუშა მდგომარეობაში |
| | სასაქონლო-მატერიალური მარაგები | | | | |
| 1 | ჭანჭიკი და ქანჩი | | 1528.5კგ | 1559 | ნაწილობრივ ვარგისია |
| 2 | ლენტა რკინის | | 1979.4კგ | 1568 | ნაწილობრივ ვარგისია |
| 3 | ტესმა | | 25008მკვ | 50 | ვარგისია |
| 4 | გამხსნელი | | 10.4კგ | 31 | ვარგისია |
| 5 | დიენის მექანიზმი | | 14კომპ | 14 | ჯართი |
| 6 | პარალონი | | 69.98კვ | 61 | ვარგისია |
| 7 | ნიტროლაქი | | 9.9კგ | 46 | ვარგისია |
| 8 | მავთული | | 723.5კგ | 351 | ნაწილობრივ ვარგისია |
| 9 | დახერხილი მასალა | | 0.818კვ | 162 | ვარგისია |
| 10 | ქსოვილი | | 608კვ | 160 | ვარგისია |
| 11 | პეტლი სხვადასხვა | | 5923ც | 69 | ჯართი |
| 12 | საკეტი | | 30942ც | 7424 | ნაწილობრივ ვარგისია |
| 13 | შტანგა | | 295ც | 39 | ჯართი |
| 14 | კლუნოვინა | | 51412ც | 2571 | ვარგისია |
| 15 | შპინგალეტი | | 2753ც | 688 | ვარგისია |
| 16 | შპინგალეტი ვინტების გარეშე | | 2590 | 259 | ვარგისია |
| 17 | შაიბა | | 93ც | 9 | ვარგისია |
| 18 | ტექსტურული ქაღალდი | | 40858კვ | 601 | ვარგისია |
| | | | | 238403 | |

სულ ს/ს „ივერია-2005"-ს სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 238403 (ორასოცდათვრამეტიათასოთხასსამი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლე-ბათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე: ქუთაისი, რუსთაველის გამზ. 1, ტელ. 4-20-95, 4-45-79.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-96-32; 899 328576

# ჯგუფი საქართველოს ბანკი - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

## 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

### კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგება

2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

*(თანხები წარმოდგენილია ათას ლარში)*

| აქტივები | შენიშვნები | 2006 | 2005 |
|---|---|---|---|
| ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები | 5 | 108,045 | 57,236 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 6 | 65,475 | 33,398 |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები | 7 | 684,842 | 297,376 |
| წმინდა ინვესტიცია ფინანსურ იჯარაში | 8 | 9,091 | 4,314 |
| ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში | | | |
| - ვაჭრობისთვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები | 9 | 9,887 | 8,327 |
| - დაფარვის ვადამდე შენარჩუნებადი ფასიანი ქაღალდები | 9 | 187,244 | 2,280 |
| საინვესტიციო ქონება | | 1,224 | - |
| ძირითადი საშუალებები | 10 | 66,828 | 35,815 |
| არამატერიალური აქტივები | 11 | 43,429 | 7,685 |
| აქტივები მოგების გადასახადის სახით | 12 | - | 2,570 |
| წინასწარი გადახდები | | 3,476 | 455 |
| სხვა აქტივები | 14 | 33,785 | 13,364 |
| **სულ აქტივები** | | **1,213,326** | **462,820** |
| **ვალდებულებები** | | | |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 15 | 224,381 | 78,873 |
| ვალდებულებები მეანაბრეთა მიმართ | 16 | 559,646 | 269,952 |
| სასესხო ვალდებულებების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები | 17 | 1,073 | 1,143 |
| ვალდებულებები მოგების გადასახადის სახით | | 751 | - |
| გადავადებული მოგების გადასახადი | 12 | 7,387 | 2,087 |
| რეზერვები | | 672 | 975 |
| სხვა ვალდებულებები | 14 | 44,558 | 18,328 |
| **სულ ვალდებულებები** | | **838,468** | **371,358** |
| **კაპიტალი** | 18 | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 25,202 | 14,729 |
| საემისიო კაპიტალი | | 277,440 | 32,922 |
| გამოსყიდული საკუთარი კაპიტალი | | (1,004) | (81) |
| გაუნაწილებელი მოგება | | 63,746 | 37,427 |
| სხვა რეზერვები | | 5,257 | 5,369 |
| **სულ ბანკის აქციონერებისათვის განკუთვნილი კაპიტალი** | | **370,641** | **90,366** |
| უმცირესობის წილი | | 4,217 | 1,096 |
| **სულ კაპიტალი** | | **374,858** | **91,462** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **1,213,326** | **462,820** |

2006 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*(თანხები წარმოდგენილია ათას ლარში)*

### კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება

2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | შენიშვნები | 2006 | 2005 |
|---|---|---|---|
| **საპროცენტო შემოსავალი** | | | |
| გაცემული სესხები | | 92,612 | 47,247 |
| სასესხო ვალდებულებების სახის ფასიანი ქაღალდები | | 1,206 | 2,664 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | | 5,310 | 1,525 |
| წმინდა ინვესტიციები ფინანსურ იჯარაში | | 1,143 | 396 |
| | | 100,271 | 51,832 |
| **საპროცენტო ხარჯი** | | | |
| ვალდებულებები მეანაბრეთა მიმართ | | 19,245 | 9,162 |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | | 14,128 | 3,893 |
| სასესხო ვალდებულებების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები | | 176 | 26 |
| | | 33,549 | 13,081 |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | | **66,722** | **38,751** |
| საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივების გაუფასურება | 13 | 13,766 | 6,228 |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივების გაუფასურების შემდეგომ** | | **52,956** | **32,523** |
| საკომისიო შემოსავლები | | 28,139 | 16,753 |
| საკომისიო ხარჯები | | (3,453) | (2,385) |
| **წმინდა საკომისიო შემოსავალი** | 20 | **24,686** | **14,368** |
| წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან: | | | |
| - სავაჭრო ოპერაციებიდან | | 12,049 | 5,379 |
| - საკურსო სხვაობებიდან | | (107) | 1,128 |
| მიღებული წმინდა სადაზღვევო პრემია | | 6,260 | 4,028 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | | 4,222 | 566 |
| **სხვა არასაპროცენტო შემოსავალი** | | **22,424** | **11,101** |
| თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი | 21 | 33,316 | 23,219 |
| ადმინისტრაციული ხარჯი | 21 | 20,649 | 10,883 |
| ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება | | 5,887 | 4,230 |
| წმინდა სადაზღვევო მოთხოვნები | | 1,827 | 786 |
| სხვა აქტივების გაუფასურება და რეზერვები | | (170) | 280 |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | | 3,654 | 1,860 |
| **სხვა არასაპროცენტო ხარჯი** | | **65,163** | **41,257** |
| **მოგება (ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | | **34,903** | **16,735** |
| მოგების გადასახადის ხარჯი (სარგებელი) | 12 | 8,131 | 3,108 |
| **წლის წმინდა მოგება (ზარალი)** | | **26,772** | **13,627** |
| **განკუთვნება:** | | | |
| - ჯგუფის აქციონერებს | | 26,983 | 13,838 |
| - უმცირესობის წილს | | (211) | (211) |
| | | 26,772 | 13,627 |

# ჯგუფი საქართველოს ბანკი - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

## 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2006 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*(თანხები წარმოდგენილია ათას ლარში)*

| | | |
|---|---|---|
| შემოსავალი აქციაზე: | | |
| - საბაზისო | 1.622 | 1.138 |
| - შერეული | 1.445 | 1.138 |

### მფლობელთა კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | განკუთვნება ჯგუფის აქციონერებს | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საწესდებო კაპიტალი | საემისიო კაპიტალი | გამოსყიდული საკუთარი აქციები | გაუნაწილებელი მოგება | სხვა რეზერვები | სულ | უმცირესობის წილი | სულ კაპიტალი |
| 2004 წლის 31 დეკემბერი | 11,273 | 13,376 | -73 | 23,911 | 5,492 | 53,979 | 1,481 | 55,460 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების წმინდა სავაჭრო ფასი | – | – | – | – | – | – | – | – |
| წილი გადაფასებული აქტივების გაყიდვიდან | – | – | – | 11 | -11 | – | – | – |
| ძირითადი საშუალებების გადაფასება, წმინდა | – | – | – | – | – | – | – | – |
| გადაფასებული ძირითადი აქტივების ცვეთა, წმინდა | – | – | – | 112 | -112 | – | – | – |
| ვალუტის საკურსო სხვაობა | – | – | – | – | – | – | – | – |
| მთლიანი მოგება და ხარჯები ასახული საწესდებო კაპიტალში | – | – | – | 123 | -123 | – | – | – |
| წლის წმინდა მოგება | – | – | – | 13,838 | – | 13,838 | -211 | 13,627 |
| წლის მთლიანი შემოსავალი და ხარჯები | – | – | – | 13,961 | -123 | 13,838 | -211 | 13,627 |
| საწესდებო კაპიტალის ემისია | 3,456 | 19,629 | – | – | – | 23,085 | – | 23,085 |
| ბანკის აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდები | – | – | – | – | – | – | – | – |
| შვილობილი კომპანიების დივიდენდები უმცირესი წილის მფლობელთათვის | – | – | – | – | – | – | – | – |
| არსებულ შვილობილ კომპანიებში დამატებითი წილის შეძენა უმცირესი წილის მფლობელთა მიერ | – | – | – | – | – | – | 365 | 365 |
| არსებულ შვილობილ კომპანიებში უმცირესობის წილის შეძენა | – | – | – | -445 | – | -445 | -539 | -984 |
| საკუთარი აქციების შესყიდვა | – | -83 | -8 | – | – | -91 | – | -91 |
| 2005 წლის 31 დეკემბერი | 14,729 | 32,922 | -81 | 37,427 | 5,369 | 90,366 | 1,096 | 91,462 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების წმინდა სავაჭრო ფასი | – | – | – | – | – | – | – | – |
| ძირითადი აქტივების გადაფასება, წმინდა | – | – | – | – | – | – | – | – |
| წილობრივი გადახდა (შენიშვნა 23) | 175 | 2,343 | 68 | – | – | 2,586 | – | 2,586 |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა და გადაფასება | – | – | – | 112 | -112 | – | – | – |
| საწესდებო კაპიტალში ასახული საოპერაციო ხარჯები | – | -5,040 | – | – | – | -5,040 | – | -5,040 |
| ვალუტის საკურსო სხვაობა | – | – | – | – | – | – | – | – |
| მთლიანი მოგება და ხარჯები ასახული საწესდებო კაპიტალში | 175 | -2,697 | 68 | 112 | -112 | -2,454 | – | -2,454 |
| წლის წმინდა მოგება | – | – | – | 26,983 | – | 26,983 | -211 | 26,772 |
| წლის მთლიანი შემოსავალი და ხარჯები | 175 | -2,697 | 68 | 27,095 | -112 | 24,529 | -211 | 24,318 |
| საწესდებო კაპიტალის ემისია | 10,298 | 249,571 | – | – | – | 259,869 | | 259,869 |
| ბანკის აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდები | – | – | – | -776 | – | -776 | – | -776 |
| შვილობილი კომპანიების დივიდენდები უმცირესი წილის მფლობელთათვის | – | – | – | – | – | – | – | – |
| არსებულ შვილობილ კომპანიებში დამატებითი წილის შესყიდვა უმცირესი წილის მფლობელთა მიერ | – | – | – | – | – | – | 3,454 | 3,454 |
| არსებულ შვილობილ კომპანიებში უმცირესობის წილის შესყიდვა | – | – | – | – | – | – | -122 | -122 |
| საკუთარი აქციების შესყიდვა | – | -2,356 | -991 | – | – | -3,347 | – | -3,347 |
| 2006 წლის 31 დეკემბერი | 25,202 | 277,440 | -1,004 | 63,746 | 5,257 | 370,641 | 4,217 | 374,858 |

2006 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*(თანხები წარმოდგენილია ათას ლარში)*

### ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| | შენიშვნები | 2006 | 2005 |
|---|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| მიღებული პროცენტები | | 96,231 | 48,047 |
| გადახდილი პროცენტები | | (28,088) | (11,424) |
| მიღებული საკომისიო | | 28,139 | 16,753 |
| გადახდილი საკომისიო | | (3,453) | (2,385) |
| რეალიზებული საკურსო მოგება სავალუტო ოპერაციებიდან | | 12,046 | 5,379 |
| ჩამოწერილი აქტივების აღდგენა | | 3,263 | 2,691 |
| მიღებული სადაზღვევო პრემია | | 3,070 | 4,715 |
| დაფარული სადაზღვევო მოთხოვნები | | (1,492) | (429) |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | | 3,877 | 566 |
| თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი | | (30,462) | (23,219) |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | | (20,984) | (12,743) |
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე** | | **62,147** | **27,951** |
| *საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა)/კლება* | | | |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | | (28,816) | (7,793) |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | | (396,543) | (125,919) |
| წმინდა ინვესტიციები ფინანსურ იჯარაში | | (4,778) | (3,714) |
| სხვა აქტივები | | (10,914) | (2,775) |
| *საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)* | | | |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | | 136,065 | 26,870 |
| ვალდებულებები მეანაბრეთა მიმართ | | 248,982 | 12,269 |
| სხვა ვალდებულებები | | 3,774 | 8,905 |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | | **9,917** | **(64,206)** |
| გადახდილი მოგების გადასახადი | | (203) | (387) |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | **9,714** | **(64,593)** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| შვილობილი კომპანიების შეძენა, მიღებული ნაღდი ფულის გამოკლებით | | 259 | (735) |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა (გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი) | | (186,288) | 9,021 |
| ინვესტიციების შეძენა მეკავშირე საწარმოებში | | (496) | (109) |
| საინვესტიციო ძირითადი საშუალებების შეძენა | | (1,224) | – |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | | – | 437 |
| ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა | | (30,277) | (12,997) |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | **(218,026)** | **(4,383)** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | | |
| კაპიტალის შევსება გამოშვებული აქციების ხარჯზე | | 259,770 | 21,641 |
| საკუთარი აქციების გამოსყიდვა | | (3,347) | (91) |
| უმცირესი წილის მფლობელის მიერ დამატებითი წილის შესყიდვა, მიღებული ნაღდი ფულის გამოკლებით | | 3,454 | 365 |
| არსებულ შვილობილ კომპანიებში დამატებითი წილის შესყიდვა, მიღებული ნაღდი ფულის გამოკლებით | | – | (550) |
| საკუთარი აქციების გაყიდვა | | – | – |
| სასესხო ვალდებულების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული თანხები | | – | 1,143 |
| სასესხო ვალდებულების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ანაზღაურება | | (70) | |
| ბანკის აქციონერთათვის გადახდილი დივიდენდები | | (579) | (9) |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობაში (საქმიანობიდან)** | | **259,228** | **22,499** |
| სავალუტო კურსების ცვლილების გავლენა ფულსა და ფულად ეკვივალენტებზე | | (107) | 966 |
| **ფულისა და ფულადი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)** | | **50,809** | **(45,511)** |
| **ფული და ფულადი ეკვივალენტები (წლის დასაწყისი)** | | **57,236** | **102,747** |
| **ფული და ფულადი ეკვივალენტები (წლის ბოლო)** | 5 | **108,045** | **57,236** |

სრული დოკუმენტი, დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნით და თანდართული შენიშვნებით, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს, იხილეთ სს "საქართველოს ბანკის" ვებ გვერდზე www.bog.ge/ir

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-96-32; 899 328576

# სპორტი

● ქართული ჩოგბურთის განსავითარებლად „ჯეოსელს“ ფული არ ენანება



## ◎ ჩოგბურთი

# „ჯეოსელს“ ფული არ ენანება

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე სამ დღეს გრძელდებოდა ბიზნესმენთა ღია ტურნირი „ჯეოსელის თასზე“. მთავარ სპონსორს დაეხმარნენ „კოკა-კოლა“, მინისა და მინერალური წყლების კომპანია „ბორჯომი“, მაღაზიათა ქსელი „რონიკო“, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასი“.

კორტებზე საასპარეზოდ 80-მდე ბიზნესმენი გამოვიდა. 45 წლამდე ერთეულთა თანრიგში მთავარი პრიზი სომხეთის წარმომადგენელმა გაგიკ აირაპეტიანმა დაიმსახურა, რომელმაც ფინალში მიხეილ ბერძენიძეს სძლია.

45 წელზე უფროსებში პირველობა ხვდა აშშ-ს საელჩოს თანამშრომელ მარკ პერის. მას ფინალში ირაკლი თოფურიძე არ გამოუცხადდა, რომელსაც საამისო საბაბი ჰქონდა: ბატონმა ირაკლიმ გია მანჯგალაძესთან ერთად წყვილებში დიდი ენერგია შეალია ბესო ჭიჭინაძე-მიხეილ ფრიდმანის დუეტის დამარცხებას და კიდევ ერთი ორთაბრძოლისთვის ძალა არ ეყო. მოყვარულთა და პროფესიონალთა შორის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გივი სამხარაძე და კარლო მეზურნიშვილი, რომლებმაც ირაკლი სვანიძე და იური ნივწივაძე დაამარცხეს.







ტურნირის გამარჯვებულები „ჯეოსელმა“ (გენერალური მენეჯერი ოსმან თურანი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ირმა ცქიტიშვილი) მესამე თაობის მობილური ტელეფონებით დააჯილდოვა, ხოლო პრიზიორებს ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. ასპარეზობის საზეიმო დახურვისას ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ლეილა მესხმა მადლობა გადაუხადა ტურნირის ორგანიზატორებს საინტერესო ღონისძიებისათვის და ალალად შენიშნა, რომ ქართული ჩოგბურთის განსავითარებლად „ჯეოსელს“ ფული არ ენანება.

**ია ნინიაშვილი**

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

## ◎ ორბიტაზე

### მანი-კურის გამოსათხოვარი ტრაგედია

**როგორც** ამბობენ, „ფორმულა-1“-ის მსოფლიო ჩემპიონატის ფრანგული, ანუ მანი-კურის ეტაპი ბოლო უნდა ყოფილიყო საფრანგეთისთვის და სწორედ ის დასრულდა დიდი ტრაგედიით – ჩამოვარდა ვერტმფრენი, რომელშიც მსხდომ ადამიანებს უშუალო კავშირი ჰქონდათ ამ პოპულარულ ავტორბოლასთან.

ვერტმფრენის ჩამოვარდნისას დაიღუპა სამი ადამიანი, ორი მძიმედ დაშავდა.

თუმცა პოლიცია ერთხანს არ აცხადებდა დეღუპულთა ვინაობას, მაგრამ ბოლოს მაინც გაირკვა, რომ ისინი კომპანიის Bridgestore წარმომადგენლები იყვნენ, საბურავებს რომ აწვდიდა „ფორმულა-1“-ს.

ალსანიშნავია, რომ მანი-კურისთვის ეს რბოლა უკანასკნელი იყო და „ფორმულა-1“ სტოვებდა ამ ავტოდრომს, სანამ საფრანგეთი ახალ ტრასას არ ააშენებდა. ასე რომ, „დიდ პრიზებთან“ ასეთი ტრაგიკული გამოთხოვება გამოვიდა!

### მოგებას უკვე ითვლიან...

**ბავშვი** არ დაბადებულა და აბრამს არქმევდნენო, ხომ გახსოვთ ეს უძველესი ანდაზა, რაც პოლონეთის ფეხბურთის ასოციაციის ხაზით „ევრო – 2012“ საორგანიზაციო კომიტეტის თავკაცის ადამ ოლხოვიჩის განცხადებამ გაგვახსენა – ბებერი კონტინენტის საფეხბურთო ტელეტრანსლაციათა უფლების გაყიდვა მილიარდ ევროს მოგვიტანსო, ჩვენც და უკრაინასაცო.

მან ევროპული სტრატეგიის იალტის ყოველწლიურ სამიტზე მრგვალი მაგიდის ირგვლივ განაცხადა, რომ ეს სარეკორდო ციფრი იქნებაო, და რომ დიდ მოგებას უეფაც ნახავსო.




ოლხოვიჩის განცხადებით, ჩემპიონატის ტელეტრანსლაცია ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიებით მოეწყობა, რაც შესაძლებელს გახდის მატჩების ყურებას ინტერნეტითაც და მობილური ტელეფონებითაც.

### შვილის გაჩენას მიეჩვია

**თუმცა** შუასაუკუნეების ციხე-დარბაზი ენატრება, – ასე განაცხადა ცნობილი იტალიელი ფეხბურთელის ფრანჩესკო ტოტის ლამაზმანმა მეუღლემ, შოუ-ბიზნესის ვარსკვლავმა, ფოტომოდელმა და ტელეწამყვანმა ილარი ბლაზიმ, ოჯახთან ერთად სარდინიაში რომ ისვენებს.

მან ჟურნალისტებს ისიც უთხრა, რომ მსუბუქად, შილიფად ჩაცმა უყვარს.

მეორე ბავშვის, ქალიშვილ შანელის გაჩენაზე რომ ლაპარაკობდა, ბლაზიმ ისიც თქვა, რომ პირველი ვაჟიშვილის, კრისტიანის დაბადებისას ცოტა ეშინოდა, შანელის შემთხვევაში კი სულაც არ ღელავდა, უხაროდა კიდევაც, რომ მეორე ბავშვს აჩენდა.

ტოტის ლამაზმანმა მეუღლემ ისიც არ დამალა, რომ კინოში გადაღება უნდა, თანაც ცნობილ მსახიობ ბრეტ პიტთან. ალბათ ტოტიმ სასწრაფოდ უნდა გააქროს საკუთარი ვიდეოთეკიდან ფილმები ანჯელინა ჯოლის ქმრის მონაწილეობით.

ბოლოს, კითხვაზე, თუ არ აკლია ბედნიერებისთვის ბლაზის, მან უპასუხა: „მაკლია საკუთარი შუასაუკუნეობრივი ციხე-დარბაზი“.



## ◎ ჭიდაობა

### ისევ ორი „ბრინჯაო“



**უკვე** გაუწყეთ, რომ ბელგრადში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე საქართველოს წარმომადგენლებმა მხოლოდ ორი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. მსგავსი შედეგით დაამთავრეს ასპარეზობა „კლასიკოსებმაც“. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთაგან მესამე ადგილებზე ლაშა გოგიტაძე (55 კგ.) და სერგო ნინუა (84 კგ.) გავიდნენ.

## ◎ ტრაპიზონი – 2007

### ქართული დესანტი - „შავი ზღვის“ დასაპყრობად



**თურქეთის** ქალაქ ტრაპიზონში სტარტი აიღო ახალმა რეგიონულმა სპორტულმა ღონისძიებამ – შავი ზღვის აუზის ქვეყნების თამაშებმა, რომელიც 8 ივლისს დამთავრდება.

ახალგაზრდების ამ ფესტივალში ალბანეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საბერძნეთის, რუსეთის, სერბეთის, მოლდოვას, რუმინეთის, ბულგარეთის, უკრაინის, საქართველოს და თურქეთის 1300 წარმომადგენელი მონაწილეობს. ისინი მშვილდოსნობაში, მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფეხბურთში, ფრენბურთში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ველოსპორტში, ტაეკვანდოში, ცურვასა და ჭიდაობის ორივე სახეობაში შეეცილებიან ერთმანეთს საპრიზო ადგილებს. საქართველოს 180-კაციან დელეგაციას (მათ შორის 160 სპორტსმენია) ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი უდგას სათავეში.

## ◎ კოპა ამერიკა

# რობინიო – ჩილე – 3:0



**სწორედ** ასე მოიხსენიეს სპორტულმა კომენტატორებმა კოპა ამერიკის ჯგუფური ტურნირის მეორე ტურში ბრაზილიის ნაკრების ჩილელებზე გამარჯვება. ეს ბუნებრივიც იყო – სამივე ბურთი ხომ მეტოქის კარში რობინიომ გაიტანა – პირველი პენალტით 36-ე წუთზე, ორიც მატჩის ბოლოს – 84-ე და 87-ე წუთებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო გოლი, როდესაც არც თუ ბრწყინვალედ მოთამაშე ხუთგზის ჩემპიონების „ესპანელმა“ ფორვარდმა ოსტატურად გაარღვია მცველთა გარემოცვა და უმძლავრესად დაარტყა.

რობინიოს ჰეთ-თრიქმა ალტაცებაში მოიყვანა არა მარტო ვენესუელაში სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები, არამედ მთელი, 175-მილიონიანი ბრაზილია. წინ ეკვადორის ნაკრებთან შეხვედრაა.

მექსიკის ნაკრებმა ზედიზედ მეორე გამარჯვება რომ მოიპოვა, ამჯერად მან ეკვადორის ნაკრები დაამარცხა – 2:1, ტურნირის მონაწილეთა შორის ერთ-ერთმა პირველმა 6 ქულით მოიპოვა მეოთხედფინალის საგზური. ასე რომ, ჩილეს ნაკრებთან მომავალი შეხვედრა მხოლოდ ფორმალური ხასიათის იქნება.

ფეხბურთის გულშემატკივრებს გუშინ კვლავ გათენებამდე მოუწიათ ლოდინი, რათა არგენტინა-კოლუმბიის ნაკრებთა ორთაბრძოლა ენახათ. პირველი გოლი, როგორც წინა შეხვედრაში, არგენტინელთა კარში გავიდა (მე-10 წუთზე, პერეა). მალე კრესპომ პენალტით წონასწორობა აღადგინა, 34-ე და 45-ე წუთზე რიკელმემ ანგარიში 3:1-მდე გაზარდა. კოლუმბიელებს ქულის „დათრევის“ იმედის ნაპერწკალი გაუჩნდათ, როცა 73-ე წუთზე კასტრილიონმა მეორე ბურთი გაიტანა მეტოქის კარში, მაგრამ ის მალე ჩაუქრათ, მილიტომ 90-ე წუთზე ანგარიში 4:2-მდე გაზარდა.



დაძაბული გამოდგა პარაგვაი-აშშ-ს მატჩიც. 30-ე წუთზე ბარეტომ პარაგვაელები წინ გაიყვანა, მე-40 წუთზე კლარკმა ანგარიში გაათანაბრა, მეორე ტაიმში კი კარდოსომ და კაბანიასმა პარაგვაელებს გამარჯვება მოუტანეს და მეოთხედფინალისკენ გზა გაუხსნეს.

კიდევ ერთი ტურიც და მეოთხედფინალების ჟამიც დადგება.

## ◎ გამოცა

# დაუვიწყარი მატჩის ქრონიკა

**მსოფლიოს** ხუთგზის ჩემპიონის – ბრაზილიის ნაკრების საქართველოში შესაძლო ჩამოსვლაზე საუბრისას სიამაყით ვიხსენებ, რომ ფეხბურთის ჯადოქრები უშუალოდ ასპარეზობისას მყავს ნანახი, როდესაც 1965 წელს, ევროპული ტურნეს დროს მოსკოვს ეწვივნენ.

4 ივლისს, „ჩვენი დიადი და უძლეველი ქვეყნის“ დედაქალაქის მთავარ სპორტულ სარბიელზე ცარიელ ადგილს ვერ ნახავდი – უამრავ ქართველ ქომაგთან ერთად ბედნიერება მხვდა წილად, მთელი 90 წუთის განმავლობაში თვალი მედევნებინა „ფეხბურთის მეფე“ პელესთვის და მხოლოდ 12 წუთი ვიხილე გენიოსი გარინჩა.

სტადიონზე მყოფთ თავი სიზმარში გვეგონა. ბრაზილიელთა გამოსვლამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ეს უდავოდ დაუვიწყარი შეხვედრა უამრავმა ფოტორეპორტიორმა აღბეჭდა ფირზე, მათ შორის გახლდათ „პროფესორად“ წოდებული მიხეილ ზარგარიანი, რომელმაც თბილისში დაბრუნებისას მატჩის ფოტოების ალბომი ბიძაჩემს, უნივერსიტეტის პროფესორს დიმიტრი თუხარელს აჩუქა, მან კი ის ალბომი მისახსოვრა, შენ უფრო დაგჭირდებაო.




ერთხელაც გადავშალე და გავიფიქრე, მარტო მე რატომ უნდა ვტკბებოდე ამ ფოტოშედევრებით, რა დააშავეს გულშემატკივრებმა, ვინც დაესწრო ამ შეხვედრას, უფრო კი იმათ, ვინც ვერ მოახერხა მოსკოვში ჩასვლა. მომავალმა თაობებმა ხომ უნდა ნახონ, როგორ გამოიყურებოდნენ პელე, გარინჩა, ჟერსონი, ჯალმა სანტოსი, ბელინი, მესხი, მეტრეველი, ბარქაია, გიორგი სიჭინავა, კავაზაშვილი, ივანოვი... გადავწყვიტე, დასამახსოვრებელი მატჩის ამსახველი ფოტოები ალბომად გამომეცა. ამ საქმის განხორციელება მას შემდეგ გახდა რეალური, როდესაც დახმარების ხელი გამომიწოდა ნაღდმა თბილისელმა კაცმა ავთანდილ (ჭუტა) წერეთელმა, რომელსაც დიდი მადლობა იმისათვის, რომ ფეხბურთის ქომაგთა გარკვეულ ნაწილს საშუალება ეძლევა, გაიხსენოს მსოფლიოს უძლიერესი გუნდის სტუმრობა.

**დღეს, 42 წელი სრულდება იმ დაუვიწყარი მატჩის დღიდან.**

**დემიკო ლოლაძე**

№ 128. ოთხშაბათი, 4 ივლისი, 2007 წელი.

# განათლება

● გამოცდების შედეგებს აბიტურიენტები შეიტყობენ ინტერნეტის მეშვეობით ან საგანმანათლებლო რესურსცენტრებში



◎ თაოზა მოდის...

## 39. 278 აბიტურიენტიდან 15440 სტუდენტი გახდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან გვაცნობეს, რომ თითოეული საგნისა და ზოგადი უნარების ტესტები და პასუხების ფურცლები საერთაშორისო ცენტრში გამარჯვებულმა კონფიდენციალური დოკუმენტების ბეჭდვაში აღიარებულმა ავტორიტეტმა, ბრიტანულმა კომპანიამ „სტივენ ოსტინმა" დასტამბა. საგამოცდო ცენტრებს ტესტები და პასუხების ფურცლები საცავებიდან უშუალოდ საპატრულო პოლიციის თანხლებით გამოცდის წინა დღეს მიეწოდა.



ეროვნული გამოცდების მედიაცენტრი თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში განთავსდა, აქვე გაიმართა პირველ გამოცდაზე, ზოგადი უნარების შედეგებისადმი მიძღვნილი ბრიფინგი. იგი გამართეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ და ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა. 2007 წლის 2 ივლისს 14 საგამოცდო ცენტრის 703 სექტორში 2007 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველი გამოცდის პირველი სესია დაიწყო.

პირველი საგამოცდო დღის ორივე სესიამ (აბიტურიენტებმა 2 და 3 ივლისს 4 სესია ჩაატარეს) საგამოცდო პროცედურების სრული დაცვით ჩაიარა. საგამოცდო ცენტრებში რეგისტრირებულ აბიტურიენტთა 98 პროცენტი გამოცხადდა, დაგვიანების გამო გამოცდაზე არ დაუშვეს 7 აბიტურიენტი. ზოგადი უნარების გამოცდის პირველი დღის დასწრების საერთო მაჩვენებელმა 97 პროცენტს მიაღწია.

ზოგადი უნარების გამოცდის მიზანია უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტთა შესაძლო წარმატებების პროგნოზირება. ტესტი ორი ვერბალური და მათემატიკური ნაწილისაგან შედგება, თითოეულ ნაწილზე სამუშაოდ აბიტურიენტს 1,5 საათი დაეთმო.

ბრიფინგზე აღინიშნა, რომ გამოცდები ზოგადი უნარების შემდეგ ასეთი გრაფიკით გაიმართება: **5-6 ივლისს – ქართული ენა და ლიტერატურა; 13 ივლისს – მათემატიკა, 16 ივლისს – საქართველოს ისტორია და საზოგადოებრივი მეცნიერებები; 17 ივლისს – ლიტერატურა; 18 ივლისს – საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.**

რა სიახლეები დახვდათ აბიტურიენტებს 2007 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე? – მისი დაწყების თარიღის ცვლილება აბიტურიენტებისა და მათი მშობლების მოთხოვნით მოხდა. სტუდენტებს, რომლებიც 2005 და 2006 წელს ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებლებში, შეუძლიათ მოიპოვონ ან გაზარდონ სახელმწიფო დაფინანსება. სტუდენტები ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობისას მხოლოდ ზოგადი უნარების გამოცდებს ჩააბარებენ და ამ შედეგების საფუძველზე გაუწევენ ერთმანეთს კონკურენციას კონკრეტულად ამ მიზნით გამოყოფილი თანხის ფარგლებში. შეიცვალა სავალდებულო და არჩევითი საკითხების ბლოკები. სავალდებულო ბლოკი მოიცავს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის იმ საკითხებს, რომელთა ცოდნა სავალდებულოა ყველა აბიტურიენტისათვის. არჩევითი საკითხების ბლოკში კი მოცემულია შესაბამისი საგნების შედარებით რთული საკითხები, რომელთაგან აბიტურიენტი ირჩევს ერთს – მისთვის სასურველ ვარიანტს.

გამოცდების შედეგებს აბიტურიენტები შეიტყობენ ინტერნეტის მეშვეობით ან საგანმანათლებლო რესურსცენტრებში.

ბრიფინგზე აღინიშნა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის 2007 წელს რეგისტრაცია 39.278 აბიტურიენტმა გაიარა, ამათგან ვინც ტესტებს უპასუხებს, 15440 სტუდენტი გახდება.

**ნათელა ფაილოძე**

◎ ძმნა მართლისა, სამართლისა...

## როცა დიდი მემკვიდრეობა ეჭვს იწვევს...

(მეცხრე გვერდიდან)

განცხადებაში რომ ყოფილიყო აღნიშნული ვანო მჭედლიშვილი, როგორც სიმღერების დამუშავება-გადამუშავების ავტორი (და არა ავტორი, როგორც არის მემკვიდრეების მიერ წარმოდგენილ განცხადებაში), მაშინ იგივე აღინიშნებოდა მოწმობაშიც: „გადამუშავების ავტორი". ამდენად „საქპატენტს" ამ მოწმობაზე (უფრო ზუსტად სიტყვა „ავტორზე") პასუხი არ მოეთხოვება, რადგან იგი ეყრდნობოდა განცხადებას.

თუ სხვა ვინმე არ შეედავება მჭედლიშვილის მემკვიდრეთა პრეტენზიას, მაშინ მჭედლიშვილი უნდა გამოცხადდეს ყველგან და ყოველთვის ავტორად (ეს მორალური ანუ სახელის უფლებაა).

თუ მჭედლიშვილის მემკვიდრეები დააყენებენ და მოითხოვენ ქონებრივი უფლების საკითხს, მაშინ უნდა მოგვმართონ ჩვენ.

ჩვენი ორგანიზაცია გამოკვლევის (ზოგჯერ სასამართლოს ჩარევითაც) შემდეგ არ დაუკარგავს ვანო მჭედლიშვილს არც ავტორობას და არც დამუშავების ავტორობას.

მომიჯნავე უფლებას (გადამუშავებას) კანონით აქვს **საავტორო** უფლება. აგრეთვე ვანო მჭედლიშვილის ნამღერზე (ფირფიტების სახით) მისი გარდაცვალებიდან 50 წლის მანძილზე აქვთ ქონებრივი უფლება, რაც ჰონორარის სახით გაიცემა. თუ ფირფიტა ახლიდან ჩაიწერება, ამ შემთხვევაშიც ეკუთვნის ჰონორარი.

მჭედლიშვილის მემკვიდრეებს ქონებრივი უფლებისათვის ჯერ ჩვენთვის არ მოუმართავთ. ამ ეტაპზე ისინი მხოლოდ მორალური (სახელის) უფლებით არიან დაინტერესებულნი. ამ საქმეში კი სპეციალისტებისა და მოწმეების მონაწილეობა იქნება საჭირო.

**– ბატონი ელგუჯა შაფათავა რომ ამბობს, სახელის უფლების აღსადგენად ამ საქმეში, სპეციალისტებისა და მოწმეების მონაწილეობა იქნება საჭიროო, არსებობენ კი ვანო მჭედლიშვილის თანამედროვე სპეციალისტები ან მოწმეები?..**

– რა თქმა უნდა, აი, მაგალითად, ბატონი **აკაკი დოკვაძე** – ჩვენი ფოლკლორის ამაგდარი, ცნობილი „ტტუ"-ს ანსამბლ „სინათლის" ხელმძღვანელი.

იგი წერს:

„ორმოციან წლებში ბატონი ვანო მარო თარხნიშვილმა მიიწვია თავის ანსამბლში. იგი დიდი გულისყურით მოეკიდა ამ დაფასებას... მე მიმაჩნია, რომ ბატონი ვანო იყო ჯერ დიდი მომღერალი, შემდგომ ნიჭიერი იმპროვიზატორი ბევრი ხალხური სიმღერის გაანსაბლურებაში. რაც შეეხება „საქპატენტის" მიერ გაცემულ მოწმობას, მასში ბევრი რამაა დასაზუსტებელი ავტორობის თვალსაზრისით".

საინტერესოა მომღერლისა და კომპოზიტორის, საოპერო თეატრის ყოფილი სოლისტის **შოთა ჩაკვეტაძის** მოგონებაც:

„ლექსი და სიმღერა „წინწყარო" ყველას ხალხური ჰგონია და მას თუ ავტორი ინდივიდუალური ჰყავს, მაინცდამაინც არ სიამოვნებთ. ყველას უნდა, რომ იგი ხალხური იყოს. ამაში ერთის მხრივ, ცუდს ვერაფერს ვხედავ, ვინაიდან, როდესაც ნაწარმოები გახალხურდება, უკვდავებაში გადადის, ავტორი კი იკარგება. ასე შეიქმნა ბევრი ჩვენი დიდი მონაპოვარი.

მინდა „წინწყაროს" შექმნის ისტორია მოგითხროთ.

ეს იყო დიდი ხნის წინათ, 1954-55 წლებში მე და ცხონებული ჰამლეტ გონაშვილი ერთად მივედით საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, მე მოცეკვავედ, ჰამლეტი კი მომღერლად.

რეპეტიციები რკინიგზელთა სახლში გვქონდა. ხშირად ვხედავდი ძია ვანოს და ჰამლეტს დერეფანში, ან სცენის უკან, პატარა საგრიმიორო ოთახში, საუბრობდნენ დინჯად, კახური კილოთი. მათი საუბარი მტრედების ღუღუნს მაგონებდა, სიმღერა კი იადონებს. წვრთნიდა და ამეცადინებდა ვანო პაპა ახალგაზრდა ჰამლეტს, ხშირად ამეორებინებდა ერთი და იგივეს: „წინწყარო ჩამოვიარე, წინწყარო"...

ერთხელაც ივანე მჭედლიშვილმა დანიშნა „წინწყაროს" მოსმენის დღე, ჰამლეტი სოლისტია. შეიკრიბა სამხატვრო საბჭო, კომპოზიტორები – შალვა მშველიძე, ვალერიან ცაგარეიშვილი (ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი), მიხეილ ჩირინაშვილი (ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორი), ლოტბარი სოლომონ (ბიჭიკო) გველესიანი, ხალხური საკრავების ორკესტრის ხელმძღვანელი კირილე ვაშაკიძე, ქორეოგრაფი – დიდი ჯანო ბაგრატიონი, ლოტბარები კირილე პაჭკორია და ლუდი ბაბილუა, ანსამბლის დირექტორი პოკო მურღულია.

სამხატვრო საბჭოზე სოლომონ (ბიჭიკო) გველესიანმა განაცხადა:

**– დღეს მოვისმენთ სახელმწიფო ანსამბლის ლოტბარის ივანე მჭედლიშვილის სიმღერას „წინწყაროს", რომელიც პირველად სრულდება, სოლისტი კი ვანო მჭედლიშვილის მიერ მომზადებული ახალბედა მომღერალი ჰამლეტ გონაშვილია.**

ბატონმა ვანომ ტონი მისცა, განზე გადგა. იმღერეს ბრწყინვალედ და დიდი ტაშიც დაიმსახურეს, როგორც სიმღერის ავტორმა, ასევე სოლისტმაც. სწორედ მაშინ დაიბადა ჰამლეტ გონაშვილი, როგორც სოლისტი.

გაზეთ „კვირის პალიტრაში" (14-20 მაისი, 2001 წ.) ანზორ ერქომაიშვილი წერს: **„უკვე რამდენი წელია, რაც ხალხურ სიმღერებს ვიკვლევ, ქართული სიმღერის ყველა ჩანაწერი მაქვს მოსმენილი, 1901 წლიდან მოყოლებული, დღემდე. მაგრამ ვანო მჭედლიშვილამდე „წინწყარო" არსად გვხვდება. არ გვხვდება არც „ჩაკრულო" იმ შესრულებით, როგორითაც ის დღეს არსებობს და რომელიც ვანოს მიერ არის დამუშავებული...**

**როდესაც დავრწმუნდი, რომ სიმღერა „წინწყარო" ივანე მჭედლიშვილისაა, დავინტერესდი ტექსტით, ხალხურია თუ ავტორისეული. ხალხური პოეზიის თითქმის ყველა ტომი გადავათვალიერე და ლექსი „წინწყარო" ვერსად ვნახე. გადავამოწმე, დავურეკე პროფესორს და მწერალს ვახუშტი კოტეტიშვილს. მან მითხრა, რომ ეს ლექსი არსად წაუკითხავს და არც მოხუცებისგან გაუგონია".**

• • •

ჩვენი ინტერვიუდან ნათლად ჩანს ის ღვაწლი, რაც ბატონ ვანო მჭედლიშვილს მიუძღვის ქართული ფოლკლორის წინაშე. საუბრობენ მისი მეგობრები და კოლეგები, ოღონდ, მათ ცოტა დაუჯერებლად მიაჩნიათ „საქპატენტის" მიერ გაცემულ მოწმობაში ჩამოთვლილი სიმღერების ავტორობა. მეორეს მხრივ ბატონი შოთა ჩაკვეტაძის მოგონება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ვანო მჭედლიშვილი სხვა სიმღერების ავტორიც იყო. ამიტომ ჩვენ ამით არ ვამთავრებთ ჟურნალისტურ ძიებასა და ველოდებით გამოხმაურებას დაინტერესებული მკითხველებისგან.

**ვილენ მარდალეიშვილი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576



**რა არ ხდება**

## ლენინის ბებია დაწვეს?!



გერმანელმა ფსიქოლოგმა გიუნტერ კრუზემ, ვლადიმერ ლენინის (ულიანოვის) წარმომავლობას რომ სწავლობს, აღმოაჩინა, რომ პროლეტარიატის ბელადის დიდი ბებია დაწვეს, როგორც კუდიანი, სწავლულმა არქივებში რამდენიმე წელი იმუშავა. საერთოდ, დაიწყო 1267 წლიდან და ლენინის ათასობით ნათესავი გამოავლინა. მათ შორის იყვნენ მღვდელი პეფე, ოცდაათწლიანი ომის დროს თემის ეკლესიას რომ მეთაურობდა, აგრეთვე ვაჭრები და ჰანზის კავშირის ხელმძღვანელები.

მაგრამ საგვარეულოს ყველაზე ღირსშესანიშნავი წარმომადგენელი აღმოჩნდა ჯადოქარი ქალი, რომელიც ინკვიზიციის დროს კოცონზე დაწვეს.

ულიანოვსკის ლენინის სახლ-მუზეუმის მეცნიერი თანამშრომლების აზრით: „გიუნტერ კრუზეს შრომების ღირსება ისაა, რომ ის ყველა ფაქტს მთლიანად დოკუმენტურად ამტკიცებს." ამასთან კრუზემ ისიც გაარკვია, რომ თავად ენათესავება ლენინს დედის მხრიდან, როგორც დისწულის შვილთაშვილი.

## პრეზიდენტის მამულში ასე ძვირად?!



სწორედ ასე ყოფილა ესტონეთში – თუ კი ქვეყნის პრეზიდენტის ტომას ჰენდრიკ ილვესის მამულში გასეირნება მოგინდება, 40 დოლარი უნდა მოიმარაგო, თანაც ჯგუფში სულ ცოტა 8 კაცი მაინც უნდა იყოს.

Erma park-ში ექსკურსია დაახლოებით 45 წუთს გრძელდება. სამ-ოთხ ნაგებობას რომ დაათვალიერებენ, სტუმრებს ხუტორ ერმაში საუზმეს შესთავაზებენ.

სხვათა შორის, ჟურნალისტებმა ბევრი „იქექეს", მაგრამ ვერ აღმოაჩინეს მსოფლიოს ვერც ერთი ცნობილი მუზეუმი ან კულტურის ტაძარი, რომლის ნახვა დამთვარიელებლებს ასე ძვირი რომ უჯდებოდათ.

ჯგუფური ექსკურსია ლუვრში 135 დოლარი ღირს, ერმიტაჟის ბილეთი უცხოელისთვის – 14 დოლარი, მადამ ტუსოს მუზეუმი ლონდონში – 15 დოლარი და ა.შ.

## ცოცხალი ყულაბა



ჯერ კიდევ ბავშვობისას ნაჩუქარი ფულის (ძირითადად, ხურდის) შესანახად ყულაბა, თიხის პატარა კასრის, კატის, უფრო მეტად კი მსუნაგი გოჭისა თუ ღორის სახით, ალბათ ბევრ ჩვენგანს ჰქონია. ინდიელმა პრადეპა პოდემ კი 117 მონეტა ისე გადაყლაპა, ყულაბა არც გახსენებია, თუმცა ის თურმე ამას სამკურნალო მიზნით აკეთებდა – საჭმელმომნელებელი სისტემის ქრონიკული ტუბერკულოზის მოსარჩენად. გადმოცემების მიხედვით, ის იმედოვნებდა, რომ ლითონი ტკივილებს შეუმსუბუქებდა და კუჭიც ნორმალურად იმუშავებდა.

სინამდვილეში 30 წლის ინდოელის ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდებოდა, ბოლოს კი საავადმყოფოშიც აღმოჩნდა.

– მას აღებინებდა, იტანჯებოდა ყაბზობითა და კუჭის ტკივილით, – ამბობს ბომბეის მეფე ედვარდის სახელობის საავადმყოფოს ექიმი, – კუჭ-ნაწლავის ქვედა ნაწილის ბლოკირების გამო საჭმელს საერთოდ ველარ ინელებდა.

ექიმებმა მას ოპერაცია გაუკეთეს და ნაწლავების ერთი ნაწილი ამოკვეთეს.

მეუღლე ზურაბ ჭარხალაშვილი, შვილები ხათუნა, დათო, შვილიშვილები სოფო, ელენე, სიძე თამაზ ჭყონია იუწყებიან

** იზა მანჯგალაძე-ჭარხალაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4 VII, 17 სთ. დაკრძალვა 5 VII, 15 სთ. ი. ჭავჭავაძის პრ. №62, IV სადარბაზო.

**სს „ავტოგაზის" აქციონერთა საყურადღებოდ!**

2007 წლის 25 ივლისს 14 საათზე გაიმართება სააქციო საზოგადოება „ავტოგაზის" აქციონერთა საერთო კრება.

**დღის წესრიგი:**

1. სს „ავტოგაზის" აქციათა შეძენის უპირატეს უფლებაზე აქციონერთა უარის თქმა და აქციათა გასხვისების საკითხი შპს „ბლექ სი ინდასტრიზე";
2. სს „ავტოგაზის" მიერ შპს-ებში მისი კუთვნილი წილების გასხვისების შესახებ;
3. სს „ავტოგაზის" ხელმძღვანელი ორგანოების არჩევა;
4. სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხები.

აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.
მისამართი: ქ. თბილისი, ჯიქიას 5.

საქმე № 2/40

# განჩინება

## პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების შესახებ

01 თებერვალი 2007 წელი — ქ. ფოთი

**ფოთის საქალაქო სასამართლო**

მოსამართლე: **მერაბ ჟვანია**
სხდომის მდივანი: **ცისანა უბირია**
მოსარჩელე: **შპს „საქართველოს რკინიგზა"**
წარმომადგენელი: **გოჩა კოკაია**
მოპასუხე: **კომპანია „აა აქტიონ კორპორეიშენი"**
დავის საგანი: **მიყენებული ზიანის ანაზღაურება**

**გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:**

ფოთის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა შპს „საქართველოს რკინიგზამ" კომპანია „აა აქტიონ კორპორეიშენის" მიმართ და მოითხოვა მოპასუხისგან მიყენებული ზიანის – 10667.06 ლარის გადახდა.

მოსარჩელემ მოპასუხის იურიდიულ მისამართად მიუთითა ქ. ფოთი, გეგიძის ქ.№ 17. აღნიშნულ მისამართზე სასამართლოს მიერ გაგზავნილ იქნა უწყება, მაგრამ მოპასუხე კომპანია „აა აქტიონ კორპორეიშენი" აღნიშნულ მისამართზე არ იმყოფება.

მოსარჩელის განცხადებით, გარდა ხელშეკრულებისა და მათ მიერ მითითებული მისამართისა, მოპასუხის სხვა მისამართი შპს „საქართველოს რკინიგზისთვის" უცნობია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარე – შპს „საქართველოს რკინიგზა" საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ითხოვს მისსივე ხარჯებით, პუბლიკაციის მეშვეობით განხორციელდეს მოპასუხე კომპანია „აა აქტიონ კორპორეიშენისთვის" საჯარო შეტყობინება.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანია, კერძოდ: საქ. სსკ-ის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად მოსარჩელე უფლებამოსილია სასამართლო განჩინების საფუძველზე, თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება პუბლიკაციის მეშვეობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით

**დ ა ა დ გ ი ნ ა**

1. შპს „საქართველოს რკინიგზის" შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. გამოქვეყნდეს კომპანია „აა აქტიონ კორპორეიშენის" მიმართ საჯარო შეტყობინება პუბლიკაციის მეშვეობით
3. საჯარო შეტყობინების პუბლიკაციის ხარჯები დაეკისროს მოსარჩელეს – შპს „საქართველოს რკინიგზას".
4. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება. იგი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლოში საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად, საქ. სსკ-ის 377-ე მუხლით დადგენილი წესით.

**მოსამართლე — მერაბ ჟვანია**

საქმე № 2/4405-06

# განჩინება

19 ივნისი 2007 წელი — ქ. თბილისი

**თბილისის სამოქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნონა ზარქუამ ერთპიროვნულად განიხილა საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით მოპასუხისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების საკითხი.**

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე № 2/4405-06 შპს „საქართველოს რკინიგზას" სარჩელისა გამო მოპასუხე შპს „გიორგის" მიმართ ქირის გადახდევინების, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში ჩაბარების თაობაზე.

სასამართლომ განიხილა ზემოაღნიშნული საკითხი და მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩელემ თავისი ხარჯებით მოპასუხე შპს „გიორგის" სასამართლო სხდომის თაობაზე უნდა აცნობოს საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლო უწყებას აბარებს ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოს ანდა გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით. იმავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი მოსარჩელე უფლებამოსილია სასამართლო განჩინების საფუძველზე თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქლაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „საქართველოს რკინიგზას" წარმომადგენელმა თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება პუბლიკაციის მეშვეობით.
2. წინამდებარე პუბლიკაციით მოპასუხე შპს „გიორგის" ეცნობოს შემდეგი:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია საქმე № 2/4405-06 შპს „საქართველოს რკინიგზას" სარჩელისა გამო მოპასუხე შპს „გიორგის" მიმართ ქირის გადახდევინების, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში ჩაბარების თაობაზე.

3. მოპასუხეს ეცნობოს შემდეგი:

3.1. შპს „საქრთველოს რკინიგზას" სარჩელის განხილვა დანიშნულია 2007 წლის 07 აგვისტოს 10 სთ. ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი №1, სხდომის დარბაზი №9.

3.2. მოპასუხე ვალდებულია, სასამართლოს აცნობოს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების შესახებ.

3.3. საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარმოდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის შუამდგომლობისა და განცხადების წარმოდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

4. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

**მოსამართლე — ნ. ზარქუა**

№ 128. ოთხშაბათი. 4 ივლისი. 2007 წელი.

● წმიდა ლუარსაბმა ღვთისმშობლის სასწაულ მოქმედ ხატს შეწევნა, მოთმენა, საქართველოს ეკლესიათა დაცვა და მფარველობა შესთხოვა. მეორე დღეს წმიდა ლუარსაბის გვამს ნათელი დაადგა და იქ მისული მნახველი გააკვირვა



## ◎ სულიერება

# „...ათასი წელი აშორებთ ერთმანეთისგან, მაგრამ მათი ღვაწლი და წამება მსგავსია"





4 ივლისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია წმიდა მოწამეებს — მეფეებს არჩილს და ლუარსაბს იხსენიებს. ცნობილია, რომ მურვან ყრუს შემოსევის დროს მეფე არჩილი და მისი ძმა — მირი აფხაზეთს გაიხიზნენ და ღმერთს მხურვალედ ევედრებოდნენ შემწეობას... ღმრთისა და დედა ღვთისმშობლის შეწევნით ძმათა მცირედმა მხედრობამ სასტიკად დაამარცხა მტერი.

...თითქმის თორმეტი წლის შემდეგ, არჩილი ქუთაისიდან ქართლში გადავიდა და არაბთაგან აოხრებული ამ ულამაზესი კუთხის აღმშენებლობას შეუდგა.

მურვან ყრუსგან დარბეული ქვეყანა ჯერ კიდევ გონს არ იყო მოსული, როცა არაბთა მარბიელმა ლაშქარმა ჭიჭუმ ასიმის მეთაურობით კვლავ ააოხრა ქართლი და გეზი კახეთისკენ აიღო. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, არჩილ მეფემ გადაწყვიტა „სულისა თვისისა დადება სახსრად ქრისტიანეთათვის". ის ეახლა ჭიჭუმ ასიმს. რამდენიმე დღე დიდებულად ისტუმრა ჭიჭუმმა ქართველთა მეფე, შემდეგ კი სარწმუნოების შეცვლა მოსთხოვა. უარყოფითი პასუხის მოსმენის შემდეგ განრისხებულმა უსჯულომ ღვთისმოსავი მეფე არჩილის საპყრობილეში ჩაგდება და შემდეგ მისი სიკვდილით დასჯა ბრძანა.

წმიდანმა მეფემ მცირე დრო ითხოვა ლოცვისთვის, მაცხოვარს შეევედრა კეთილად განეძლიერებინა და დაეცვა ქრისტიანობა საქართველოში... ნაწამები მეფის გვამი ქართველმა აზნაურებმა ნოტკორაში, მის მიერ აშენებულ ტაძარში დაკრძალეს.

• • •

ცნობილია, რომ 1606 წელს ქართლის მეფე გახდა თოთხმეტი წლის ლუარსაბი. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოსთვის ერთმანეთს ებრძოდნენ თურქები და სპარსელები. 1609 წელს თურქებმა ყირიმელ თათრებთან ერთად გადამწყვეტი ლაშქრობის მოწყობა განიზრახეს და მოულოდნელად თავს დაესხნენ ქართლს. მეფე ლუარსაბმა შეკრიბა ჯარი და ტაშისკართან სასტიკად დაამარცხა მტერი. ბრძოლაში სიმამაცით გამოირჩეოდნენ გიორგი სააკაძე და ზაზა ციციშვილი.

...ამასობაში ლუარსაბი სპარსეთში გაიტყუეს ...შაჰ-აბასმა ლუარსაბს მოსთხოვა ქრისტეს უარყოფა, როცა სასტიკი უარი მიიღო, მაშინ კი საპყრობილეში ჩააგდეს და წამება დაუპირეს.

წმიდა ლუარსაბმა ღვთისმშობლის სასწაულ მოქმედ ხატს შეწევნა, მოთმენა, საქართველოს ეკლესიათა დაცვა და მფარველობა შესთხოვა. მეორე დღეს წმიდა ლუარსაბის გვამს ნათელი დაადგა და იქ მისული მნახველი გააკვირვა.

საქართველოს ეკლესიამ ლუარსაბისა და არჩილის ხსენება ერთ დღეს დააწესა მათი ღვაწლისა და წამების მსგავსებისა გამო.

**გიული ლიპარტია**

## ◎ ინფორმაცია

# „უწერას" გაიყიდა

**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გამართულ გუშინდელ აუქციონზე, უწერას მინერალური წყლის საბადოზე, წყლის მოპოვების უფლება 11 000 დოლარად გაიყიდა.**

გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, „დააბანდე წიაღისეულში" პროექტის ფარგლებში, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით, მორიგი აუქციონი გაიმართა.

აუქციონზე გამოტანილი იყო, „დააბანდე წიაღისეულში" პროექტით გათვალისწინებული 14 მსხვილი ობიექტიდან, რიგით მე-4 ობიექტი — ონის რაიონში, უწერას მინერალური წყლის საბადოზე წყლის მოსაპოვებელი ლიცენზია.

აუქციონში ერთი კომპანია მონაწილეობდა. გამარჯვებულად შპს „ახალი სამშენებლო ტექნოლოგიები" გამოცხადდა.

**ინტერპრესნიუსი**

## ◎ ლარის კურსი

**4 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3580 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,6695 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2640 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0649 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9510 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4897 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3283 ლარი. |

## ◎ კადრი



## ◎ ანეკდოტები

ლათინური იმიტომაც შეიძლება ჩაითვალოს მკვდარ ენად, რომ, რაც უფრო დიდხანს ესაუბრებიან ექიმები ერთმანეთს ლათინურად პაციენტის საწოლთან, სიცოცხლის მით უფრო ნაკლები შანსი აქვს ამ უკანასკნელს.

• • •

— ვაჰ, რომ იცოდე, როგორი მაგარი გოგო გავიცანი გუშინ! — ეტრაბახება ტიპი ძმაკაცს.

— მართლა? მისი ტელეფონი მაინც აიღე?

— რა თქმა უნდა. ნახე, რა მაგარი „ნოკიაა!"



• • •

— ექიმო, თქვენი ისეთი მადლობელი ვარ — თქვენ ხომ ყურთასმენა დამიბრუნეთ! რამდენი უნდა მოგართვათ?

— 50 ლარი.

— ო-ო-ო, მადლობელი კი ვარ, მაგრამ რვაასი დოლარი მაინც ბევრია.

— რვაასი კი არა, ხუთასი, ხუთასი, — ყურში ჩაჰყვირა გახარებულმა ექიმმა.

• • •

— ძვირფასო, როგორ მოხდა, რომ შეგიყვარდი? — ეკითხება ცოლი ქმარს.

— აი, ხომ ხედავ, ეს უკვე შენც გიკვირს.

• • •

2095 წელი. მარსელმა მეცნიერებმა, როგორც იქნა, მიიღეს პასუხი კითხვაზე — არის თუ არა სიცოცხლე დედამიწაზე. გაცნობასთან დაკავშირებით რუს კოსმონავტებთან სმის პროცესში ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დედამიწაზე სიცოცხლე კი არა, ერთი ტანჯვაა.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
[illegible]
გ. ჰოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის" დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1" [illegible] ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, [illegible], 20.

[illegible]
ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიას ნუ [illegible].